პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1975
შაბათი
2
აგვისტო
№ 180
(16306)
ფასი
2 კაპ.
1975

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 თებერვლიდან

სკკპ XXV ყრილობის შესახებ

ჭიათურელთა დიდი გამარჯვება

ტრესტ „ჭიათურმანგანუმის“ კოლექტივმა გადაჭარბებით შეასრულა ზეგეგმითი პროდუქციის გამოშვების წლიური ვალდებულება. ქვეყანამ გეგმის გადამეტებით მიიღო 47 ათასი ტონა მადანი — 7 ათასი ტონით მეტი, ვიდრე ვალდებულებით იყო გათვალისწინებული. სულ ხუთწლედის დამდეგიდან მაღაროელებმა დავალების გადაჭარბებით ამოიღეს და მოამზადებელს გაუგზავნეს 290 ათასი ტონა სასაქონლო პროდუქცია.

ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ლენინის სახელობის, სტალინის სახელობის, ორჯონიკიძის სახელობის, კალინინის სახელობის და ახალი ბოგვისის მაღაროთა ხამმართველოებმა კოლექტივებმა.

წინასწარმა გამოანგარიშებამ ცხადყო, რომ „ტრესტ „ჭიათურმანგანუმის“ კოლექტივი არ გაჭიმს თავის სიტყვას და დიდი ოქტომბრის 59 წლისთავისათვის შეასრულებს ხუთწლედს ყველა საწარმოო მაჩვენებლების მიხედვით. შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით ოთხ პროცენტზე მეტად გაიზრდება, ზეგეგმითი მოგება 5 მილიონ მანეთს მიაღწევს. (საქინფორმი).

ხუთწლედი შეასრულეს

„ქუთაისი ავტომობილთა რემონტის“ ტექნიკურმა ბაზამ 50 ლოკომობილი, 20 ავტობუსი, 2 ავტოკრანი, 2 ავტოტანკერი, 2 ავტოფურგონი, 2 ავტოფეხსაცმელი, 2 ავტოსადგომი ქვანახშირის მოპოვებისა და მოდერნიზაციის რეალიზაციის ხუთწლიანი გეგმა.

ხუთწლედის დამდეგიდან აქ ამოიღეს 340 ათას ტონაზე მეტი მაღალხარისხოვანი ქვანახშირი, გეგმაზე 72 ათასი ტონით მეტი.

ტყვარჩელელი მეშახტეები იბრძვიან იმისათვის, რომ თითოეულ ლავაში ათას ტონამდე გაზარდონ ქვანახშირის სადღეღამისო მოპოვება (საქინფორმი).

ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირი წარმატებით დამთავრდა

დასკვნითი აქტის ხელმოწერა

ჰელსინკი, 1 აგვისტო. (საკადესის სპეც. კორ.). დღეს ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მონაწილე სახელმწიფოთა უმაღლესმა ხელმძღვანელებმა თავიანთი ხელმოწერით დამტკიცეს დასკვნითი აქტი — დოკუმენტი, რომელიც კონკრეტულ მატერიალურ შინაარსს ანიჭებს დაძაბულობის შენელებას და საფუძველს უყრის ევროპის კონტინენტის ხალხთა მშვიდობასა და უშიშროებას. სწორედ დაძაბულობის შენელების მატერიალიზაცია, თქვა თათბირზე გამოსვლისას სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა, — აი რა არის საქმის არსი, ყოველივე იმის არსი, რამაც ევროპის მშვიდობა ნამდვილად მტკიცე და უცილობელი უნდა გახადოს.

ნაშუადღევს სასახლე „ფინეთის“ პლენარულ სხდომათა დარბაზში საზეიმო ვითარებაში გაიმართა დოკუმენტის ხელმოწერის ცერემონია. ეს დოკუმენტი არა მარტო აჯამებს წარსულის შედეგებს, არამედ მთელი თავისი შინაარსით მომავალსაც ემსახურება, მოიცავს ყველა ქვეყნის მშვიდობის, უშიშროების, სხვადასხვა დარგში თანამშრომლობის ყველაზე აქტუალური პრობლემების ფართო სპექტრს.

დასკვნითი აქტის ხელმოწერის ცერემონიას ხსნის ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი უ. კ. კეკონენი, დელეგაციათა შეთაურები იკავებენ ადგილებს დიდ მაგიდასთან. თათბირის ყველა მონაწილის თანდასწრებით იწყება დოკუმენტის ხელმოწერის ცერემონია.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახელით დოკუმენტს ხელს აწერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი.

დასკვნითს აქტს ხელს აწერენ: გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სახელით — ფედერალური კანცლერი ჰ. შმიდტი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელით — გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ჰონეკერი, ამერიკის შეერთებული შტატების სახელით — ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯ. ფორდი, ავსტრიის რესპუბლიკის სახელით — ფედერალური კანცლერი ბ. კრაისკი, ბელგიის სამეფოს სახელით — პრემიერ-მინისტრი ლ. ტინდემანსი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელით — ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ტ. ჟივკოვი, კანადის სახელით — პრემიერ-მინისტრი პ. ე. ტრიუდო, კვიპროსის რესპუბლიკის სახელით — პრეზიდენტი არქიეპისკოპოსი მაკარიოსი, დანიის სახელით — პრემიერ-მინისტრი ა. იორგენსენი, ესპანეთის სახელით — მთავრობის მეთაური კ. არიას ნავარო, ფინეთის რესპუბლიკის სახელით — პრეზიდენტი უ. კ. კეკონენი, საფრანგეთის რესპუბლიკის სახელით — ვ. ჟისკარ დ.ესტენი, დიდი ბრიტანეთის შეერთებული სამეფოსა და ჩრდილოეთ ირლანდიის სახელით — პრემიერ-მინისტრი ჰ. ვილსონი, საბერძნეთის რესპუბლიკის სახელით — პრემიერ-მინისტრი კ. კარამანლისი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სახელით — უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმის წევრი ი. კადარი, ირლანდიის სახელით — პრემიერ-მინისტრი ლ. კოსგრეივი, ისლანდიის სახელით — პრემიერ-მინისტრი გ. ჰატლგრიმსონი, იტალიის რესპუბლიკის სახელით — მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. მორო, ლიხტენშტეინის სამთავროს სახელით — თავეროს მეთაური ვ. კიბერი, ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგოს სახელით — პრემიერ-მინისტრი, საგარეო საქმეთა მინისტრი გ. ტორნი, მალტის რესპუბლიკის სახელით — პრემიერ-მინისტრის მაგივრად დოკუმენტს ხელს აწერს პრემიერ-მინისტრის მოადგილე ა. ბუტეგეგი, მონაკოს სამთავროს სახელით — სახელმწიფო მინისტრი, მთავრობის საბჭოს თავმჯდომარე ა. სენ-ლე, ნორვეგიის სახელით — პრემიერ მინისტრი ტ. ბრატელი, ნიდერლანდის სამეფოს სახელით — პრემიერ-მინისტრი ი. დენ ოილი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელით — პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. გერეკი, პორტუგალიის სახელით — რესპუბლიკის პრეზიდენტი ფ. კუშუნა გომეში, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის სახელით — პრეზიდენტი ნ. ჩაუშესკუ, სან-მარინოს სახელით — საგარეო და პოლიტიკურ საქმეთა სახელმწიფო მდივანი ჯ. ლ. ბერტი, ვატიკანის სახელით — ეკლესიის სახელმწიფო საქმეთა საბჭოს მდივანი ა. კაზაროლი, შვეიცარიის სახელით — პრემიერ-მინისტრი უ. პალმე, შვეიცარიის კონფედერაციის სახელით — პრეზიდენტი პ. გრაბერი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის სახელით — ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტი გ. ჰუსაკი, თურქეთის რესპუბლიკის სახელით — პრემიერ-მინისტრი ს. დემირელი, იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის სახელით — პრეზიდენტი ი. ბროზ ტიტო.



ჰელსინკი. ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის დასკვნითი აქტის ხელმოწერა. დოკუმენტს ხელს აწერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი.

საკადესის ტელეფოტო — საინფორმი.

ხელმოწერის ცერემონია მთავრდება. კოლექტიური აქციას, რომელიც არა მარტო ნაყოფიერ გავლენას მოახდენს ევროპის ხალხთა ცხოვრებაზე, არამედ დიდმნიშვნელოვანი წვლილიც გახდება საყოველთაო მშვიდობის განმტკიცების საქმეში, ყველა დამსწრე მქუხარე ტაშით ხვდება.

ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა უ. კ. კეკონენმა საბოლოო სიტყვა წარმოთქვა.

რამდენიმე წუთის წინათ ჩვენ უნიკალურ ისტორიულ მომენტს შევესწარით, როცა თავიანთი ქვეყნების სახელით თათბირის დასკვნით აქტს ხელი მოაწერეს და ამით გამოთქვეს ჩვენი გადაწყვეტილება უზრუნველყონ მისი დასკვნების სრული ეფექტიანობა და ეს დასკვნები მიიჩნიონ ჩვენი ურთიერთდამოკიდებულებისა და მისი შემდგომი განვითარების საფუძვლად და გზის მაჩვენებელ ხაზად.

ჩვენს ხალხებს, რომლებმაც ამდენი ტრაგედია განიცადეს, დღეს, ბოლოს და ბოლოს შეუძლიათ მოიშორონ წარსული და მზერა მიაპყრონ უკეთეს მომავალს. ჩვენ ვიცით, რაოდენ მყიფე შეიძლება იყოს მშვიდობა და რომ პროგრესს შეგვიძლია მხოლოდ თანდათანობით მივაღწიოთ. მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ წლებში ევროპის ვითარება მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, იგი კვლავ რთულია, გზა, რომელიც დავესახეთ, გრძელია, და უფრო მოკლე გზა არ არსებობს. მაგრამ ჩვენს რწმენას აქვს მტკიცე საფუძველი, რადგან დღეს ჩვენს მიერ მიღებული დასკვნითი აქტი იმ საძირკვლის ჩაყრის სერიოზული ცდაა, რომელზეც ჩვენ და მომავალი თაობები შეეძლებთ ავაშენოთ იმაზე უკეთესი სამყარო, რომელშიაც ახლა ვცხოვრობთ.

თათბირი მთავრდება. ყველა იმ სიტყვიდან, რომლებიც უკანასკნელი რამდენიმე დღის მანძილზე მოვისმინეთ, შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა რომ ყველა მონაწილე სახელმწიფო ცნობს რამდენად მნიშვნელოვანი და აუცილებელია ის მრავალმხრივი პროცესი, რომელიც ამ თათბირის მეოხებით დავიწყეთ. დასკვნითი აქტი შეიცავს მოქმედების ზუსტ გეგმას, ამ პროცესის განუწყვეტელი მოქმედების უზრუნველყოფის გზებისა და საშუალებების გეგმას. თათბირის შემდეგ მონაწილე ქვეყნებმა უნდა უზრუნველყონ მისი შედეგების სრული ეფექტიანობა. ორი წლის შემდეგ ისევ შევიკრიბებით, რომ ერთმანეთს გავუზიაროთ აზრი ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის განმტკიცების საარსებოდ დიდმნიშვნელოვან საკითხებზე.

დასასრულ, თქვა უ. კ. კეკონენმა, მსურს ფინეთის მთავრობისა და ხალხის სახელით დიდი მადლობა გადაგიხადოთ იმ პატივისათვის, რომ ჩვენი დედაქალაქი აირჩიეთ თათბირის პირველი და მესამე ეტაპების გამართვის ადგილად. ეს მიგვაჩნია იმ პოლიტიკის აღიარების გამოვლინებად, რომელსაც ვახორციელებთ, და მინდა განვაცხადო, რომ ჩემი ქვეყანა კვლავაც ამავე კურსს გაჰყვება. ახლაც და მომავალშიც ფინეთი ყოველ ღონეს იხმარს, რომ ხელი შეუწყოს მეგობრული ურთიერთობისა და კონსტრუქციული თანამშრომლობის განვითარებას მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების საკეთილდღეოდ.

ნება მიბოძეთ აგრეთვე მადლობა გადაგიხადოთ ჩემი ქვეყნის მიმართ წარმოთქმული კეთილი სიტყვებისათვის და იმ წვლილის შეფასებისათვის, რომელიც მან თათბირის მოწყობაში შეიტანა როგორც მოხაწილე ქვეყანამ და როგორც ორგანიზატორმა ქვეყანამ.

თათბირი მთავრდება, მაგრამ აქ წარმოდგენილი ქვეყნების მრავალმხრივი თანამშრომლობა გაგრძელდება. ვსარგებლობ შემთხვევით და მსურს გულწრფელი კმაყოფილება გამოვთქვა იმით, რომ იუგოსლავიის მთავრობა, რომელიც ასე მტკიცედ შემოუერთდა ჩვენს საერთო მიზნებს, იქნება ამ წრის სახელმწიფოთა მომავალი შეხვედრის ორგანიზატორი.

ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მესამე ეტაპს დახურულად ვაცხადებ.

• • •

მთელი დარბაზი ფეხზე ადგომით, მქუხარე ხანგრძლივი ტაშით მიესალმება ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის წარმატებით დამთავრებას. მისი მონაწილენი გულითადად ულოცავენ ერთმანეთს ამ ისტორიულ მოვლენას.

ლ. ი. ბრეჟნევი შეხვდა

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალურ კანცლერს

31 ივლისს ჰელსინკში გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალური კანცლერის ჰ. შმიდტის შეხვედრა. შეხვედრაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ჰ.-დ. გენშერი.

საუბრის დროს გაიმართა აზრთა გაზიარება სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ორმხრივი ურთიერთობის ზოგიერთ საკვანძო საკითხზე. ლ. ი. ბრეჟნევმა და ჰ. შმიდტმა განაცხადეს, რომ ორივე მხარეს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ხელი შეუწყონ სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის შემდგომ გაღრმავებას, სხვადასხვა დარგში პრაქტიკულ შეთანხმებათა მიღწევას. მათ დაადასტურეს, რომ ორი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრები ერთმანეთს შეხვდებიან ორივე მხარისათვის საინტერესო საკითხების განსახილველად.

საერთაშორისო პრობლემების განხილვის დროს ლ. ი. ბრეჟნევმა და ჰ. შმიდტმა განსაკუთრებული უურადღება დაუთმეს მშვიდობის, დაძაბულობის შენელებისა და კეთილმეზობლობის გზით ევროპის ქვეყნების ურთიერთობის გაუმჯობესების პერსპექტივებს. ამასთან დაკავშირებით გამოთქვეს რწმენა, რომ ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის შედეგებით ახალი დიდმნიშვნელოვანი ეტაპი უნდა დაიწყოს ევროპის კონტინენტის ცხოვრებაში.

შეხვედრა მიმდინარეობდა საქმიან კონსტრუქციულ ვითარებაში.

შეხვედრას დაესწრნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწე ა. ი. ბლატოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრი ა. პ. ბონდარენკო და ფედერალური კანცლერის უწყების საგარეო-პოლიტიკურ განყოფილების ხელმძღვანელი კ.-ვ. ზანე. (საკადესი).

ლ. ი. ბრეჟნევი შეხვდა ნ. ჩაუშესკუს

1 აგვისტოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი შეხვდა რუმინეთის კომპარტიის გენერალურ მდივანს, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტს ამხ. ნ. ჩაუშესკუს.

მეგობრული საუბრის დროს აღინიშნა ჰელსინკის დასკვნითი თათბირის განსაკუთრებული მნიშვნელობა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობისათვის. ლ. ი. ბრეჟნევმა და ნ. ჩაუშესკუმ ერთმანეთს გაუზიარეს აზრები აგრეთვე საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და რუმინეთის კომუნისტურ პარტიას შორის ძმური ურთიერთობის შემდგომი განვითარებისა და გაღრმავების, საბჭოთა კავშირსა და რუმინეთს შორის პოლიტიკურ, ეკონომიურ, მეცნიერულ-ტექნიკურ და სხვა დარგებში თანამშრომლობის საკითხებზე. (საკადესი).

ლ. ი. ბრეჟნევი შეხვდა კვიპროსის რესპუბლიკის პრეზიდენტს

1 აგვისტოს სასახლე „ფინეთში“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი შეხვდა კვიპროსის რესპუბლიკის პრეზიდენტს არქიეპისკოპოს მაკარიოსს.

პრეზიდენტმა მადლობა გადუხადა საბჭოთა კავშირს იმ მხარდაჭერისათვის, რომელსაც იგი უწევს კვიპროსელ ხალხს კვიპროსის სახელმწიფოს დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და მთლიანობისათვის ბრძოლაში.

ლ. ი. ბრეჟნევმა წარმატებას უსურვა კვიპროსის პრეზიდენტს და ხალხს ამ მაღალი მიზნების განხორციელებაში, რომლებიც შეესაბამება ევროპაში მტკიცე მშვიდობის ინტერესებს. (საკადესი).

ლ. ი. ბრეჟნევი შეხვდა ნიდერლანდის პრემიერ-მინისტრს

1 აგვისტოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი შეხვდა ნიდერლანდის პრემიერ-მინისტრს ი. დენ ოილს და ჰქონდა მასთან აზრთა მოკლე გაზიარება სრულად ევროპის თათბირის შედეგებისა და მისი გადაწყვეტილებების განხორციელების შესახებ. (საკადესი).

ლ. ი. ბრეჟნევი ესაუბრა ა. მოროს

1 აგვისტოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი ბრეჟნევი ჰელსინკში ესაუბრა იტალიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ა. მოროს. საუბარმა მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

ლ. ი. ბრეჟნევმა და ა. მორომ გამოთქვეს კმაყოფილება ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის წარმატების გამო და იმედი, რომ იგი ახალ იმპულსს მისცემს თათბირის მონაწილე სახელმწიფოთა კარგი ურთიერთობის შემდგომ განვითარებას.

იტალიის მხარემ დაადასტურა, რომ ლ. ი. ბრეჟნევი მიწვეულ ოფიციალური ვიზიტით ესტუმრება იტალიას.

საუბარში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო და იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრი რუმორი. (საკადესი).

ა. ა. გრომიკო შეხვდა ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრს

1 აგვისტოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო ჰელსინკში შეხვდა ფინეთის პრემიერ-მინისტრის მოადგილეს, საგარეო საქმეთა მინისტრს ო. მატლას.

საუბრის დროს მხარეებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრები სრულიად ევროპის თათბირის დასკვნითი ეტაპის მუშაობის საკითხებზე, აგრეთვე საბჭოთა კავშირსა და ფინეთის მეგობრული ურთიერთობის შემდგომი განვითარების ზოგიერთ საკითხზე.

საუბარს დაესწრნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ი. ნ. ზემსკოვი, სსრ კავშირის ელჩი ფინეთში ვ. ს. სტეპანოვი, აგრეთვე ფინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო მდივანი მ. ტოვინენი. (საკადესი).

დარგაზოგა თათბირის მონაწილეთა პატივსაცემად

ჰელსინკი, 31 ივლისი. (საკადესის სპეც. კორ.). დღეს საღამოს ფინეთის რესპუბლიკის მთავრობამ დარბაზობა გამართა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მესამე ეტაპის მონაწილე დელეგაციათა პატივსაცემად.

დარბაზობაზე იყო საბჭოთა კავშირის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

იწონებენ, მხარს უჭერენ

საქართველოს მეშრომელთა ხმა

„ყველანი, ვინც კი გმონაწილეობთ ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის საბოლოო ეტაპში, ვგრძნობთ ამ მოვლენის უჩვეულო ხასიათს, ეს ისტორიულ მასშტაბორობას შეიძლება გულდაჯერებით ითქვას, რომ ამასვე გრძნობს მილიონობით ადამიანი თათბირის მონაწილე ყველა ქვეყანაში, და არა მარტო ამ ქვეყნებში“... — თქვა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა ჰელსინკში „ფინეთის“ სასახლეში ჟამოსვლისას.

მართლაც, მსოფლიოს ყველა კუთხეში მიიჭრა ჰელსინკში ჟამართული თათბირის ექო და მილიონობით ადამიანს ალელვებს საყოველთაო შვიდობის დიდი იმედი ჩაუსახა. დოკუმენტები, რომლებიც ჰელსინკში მიიღეს, მომავალს ჭვრეტს, მტკიცე გზას უხსნის მსოფლიო ხალხების მშვიდობიან ცხოვრებას, უშიშროებას, საყოველთაო თანამშრომლობას. ამით თვითეული ჩვენგანი დიდ სიხარულს განიცდის.

და, ცხადია, ჩვენი შრომაც უფრო ეფექტური იქნება, თვითეული ჩვენთაგანი უფრო ხალისით იმუშავებს, რათა რაც შეიძლება მეტი თავდადებით უპასუხოს ამ ისტორიულ მოვლენას.

შ. ჯოხაძე.

თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათსამშენებელო ქარხნის ნოვატორი ხარატი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

უდიდესი ინტერესი და აღფრთოვანება გამოიწვია ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლამ სრულიად ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის დასკვნითს ეტაპზე ჰელსინკში.

ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, ამ გამოსვლაში ვხედავთ როგორც ევროპაში, ისე მთელ მსოფლიოში მშვიდობის დაცვისა და განმტკიცების ნათელ ჯაჭვს.

როგორც ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა, „ევროპის მშვიდობის განმტკიცების მთავარ პრობლემებზე თათბირის მიერ შემუშავებული დებულებანი ემსახურებიან ხალხთა ინტერესებს, ადამიანთა ინტერესებს მათი საქმიანობის, ეროვნების, ასაკის მიუხედავად — ემსახურებიან მუშათა, სოფლის მშრომელთა, ინტელიგენტიალური შრომის პირთა, ცალკეულად თვითეული ადამიანის და ერთად ყველა ადამიანთა ინტერესებს“.

რუსთაველ მეტალურგიული ქარხნის დიდი შრომითი კოლექტივი სარგებლობს მშვიდობის ყველა სიკეთით, ვინაიდან შრომა და მშვიდობა განუყოფელი ცნებებია. ჩვენი ენთუზიასტური შრომა მიმართულია ეკითხენ, რომ გვამრავლოთ ჩვენი წვლილი ხუთწლედის დამამთავრებელ წელს ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაში.

შ. ანთელიძე,

რუსთაველ მეტალურგიული ქარხნის მთავარი ინჟინრის მოადგილე.

მშობლის და, მით უფრო, პედაგოგის გული მიკარნახებს ავღელო ხელში კალამი ამ წერილის დასაწერად. არაფერი ისე არ სჭირდებათ ხალხებს, როგორც მშვიდობა.

როცა კითხულობ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის გამოსვლას ჰელსინკის თათბირზე, გული ამოდით ეგესება. აი თავდადება, არ ბრძნული და აწონილი ნაბიჯები მშვიდობის შესანარჩუნებლად! სამჭოთა ხალხის სიტყვაა: — „მადლობა საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, მადლობა მის ცენტრალურ კომიტეტს, გენერალურ მდივანს ლეონიდ ბრეჟნევს, მადლობა საბჭოთა მთავრობას!“

რაოდენ ამაღელვებელია, ამ-დის მომცემია ლეონიდ ილიასძის შთაგონებული სიტყვები, თათბირზე მიღებულ დოკუმენტებს რომ ეხება: „...ისინი გამსჭვალულია ადამიანისადმი პატივისცემით, ზრუნვით იმისათვის, რომ იგი ცხოვრობდეს მშვიდობის პირობებში და გულდაჯერებით შეჰყურებდეს მომავალს“.

ჩემს თვალწინ, ჩემი მონაწილეობითაც იზრდებიან ბოგონები და ბიჭუნები, შეეხარი მათ, ამ ნამდვილ ყვავილებს, ჩვენს მომავალს. გული სიამით მევსება, როცა ჩემი პატარა შვილისა და ჩემი მოსწავლეებისათვის მშვიდობაა ქვეყნად.

რ. აზნიაშვილი,

თბილისის 130-ე სკოლის მასწავლებელი.

დარგაზოგა თათბირის მონაწილეთა პატივსაცემად

ჰელსინკი, 31 ივლისი. (საკადესის სპეც. კორ.). დღეს საღამოს ფინეთის რესპუბლიკის მთავრობამ დარბაზობა გამართა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მესამე ეტაპის მონაწილე დელეგაციათა პატივსაცემად.

დარბაზობაზე იყო საბჭოთა კავშირის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

მუშაობისათვის, უშიშროებისა და თანამშრომლობისათვის

სრულიად ევროპის თათბირზე

31 ივლისს ნაუშადღევს ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირი მუშაობას განაგრძობდა იტალიის დელეგაციის მეთაურის იტალიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. მოროს თავმჯდომარეობით.

იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის თავმჯდომარემ, იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტმა იოსიპ ბროზ ტიტომ თავის გამოსვლაში განაცხადა, რომ ეს თათბირი ევროპის ისტორიაში დიადი მომენტია, რომელიც გვინერგავს უკეთესი მომავლისა და ახლანდელი და მომავალი თაობებისათვის კიდევ უფრო ბედნიერი ცხოვრების იმედს.

სრულიად ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ეს თათბირი, განაგრძო მან, არის არა მარტო ევროპის ხალხებს შორის თანხმობის შედეგი, არამედ იმ ახალი ტენდენციებისა და ცვლილებების შედეგიც, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის დროს და მის შემდეგ გრძელდება საერთაშორისო პოლიტიკურ, ეკონომიურ და საზოგადოებრივ ურთიერთობაში. მას დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ევროპის, არამედ ავრეთვე მთელი მსოფლიოს მდგომარეობისათვის.

ჩვენ ეცხოვრობთ ეპოქაში, როცა წარმოების ხალხთა სულ უფრო გადამწყვეტი ბრძოლა თავდაცვისა და დამოუკიდებლობისათვის, მშვიდობისა და საყოველთაო თანაბარი უშიშროებისათვის, თანასწორუფლებიანი და ყოველმხრივი თანამშრომლობისათვის, ეკონომიური და სოციალური პროგრესისათვის. კოლონიალიზმის, ომპერიალიზმისა და ხალხთა სხვადასხვა ეთნიკის ეროვნული ეპოქა ჩვენს თვალწინ ამსჭვალავს, თქვა ნელა. მაგრამ უთუოდ უდგება აღსასრული.

მაგრამ მეორე მხრივ, ადამიანებს და ხალხებს სულ უფრო მეტად აქვთ შეგნებული, რომ შრომის თანამედროვე პირობები და საშუალებანი, ავრეთვე მიცნიერულ-ტექნიკური, ეკონომიური, საზოგადოებრივი და კულტურული პროგრესის საჭიროებანი დაბეჭდავთან მოითხოვენ მათს დაახლოებასა და გაერთიანებას.

მიუხედავად პოლიტიკა ახალი და დემოკრატიული გადაწყვეტილების ძიების ერთ-ერთი გზა და ამისთანავე რეალური პასუხი არსებულ პრობლემებზე.

მშვიდობა და უშიშროება, აღნიშნა ი. ბროზ ტიტომ, ახლა არა მარტო განუყოფელი ერთმანეთისაგან, არამედ კაცობრობის შემდგომი პროგრესის ისტორიული აუცილებლობაც გახდა. სანამ არსებობს კრიზისები და კონფლიქტები, მსოფლიოში ვერსად და ვერავინ ვერ გგრძნობს თავს უშიშრად. თათბირის მონაწილე სახელმწიფოები მოვალენი არიან როგორც მთელი მსოფლიოს მშვიდობისა და უშიშროების ზოგადი ინტერესებისათვის, ისე თავიანთი საკუთარი ინტერესებისთვისაც ველი შეუწყონ ასეთი კრიზისის სამართლიანი და ხანგრძლივი მოგვარების გზების ძიებას.

ეს თათბირი მნიშვნელოვანწილად დაძაბულობის შენელებისა და მოლაპარაკების პოლიტიკის შედეგია, იგი მისი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შედეგია. ევროპაში მიღწეული შედეგები დიდ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობის გაუმჯობესებასთან ერთად, უეჭველია, შექმნიან კიდევ უფრო ხელსაყრელ პირობებს სხვა საერთაშორისო პრობლემების გადასაჭრელადაც მოლაპარაკებისა და შეთანხმების გზით. ეს პროცესი უნდა გავრცელდეს მსოფლიოს ყველა რაიონზე, მოიცვას ყველა უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო პრობლემა

მიღწეული შედეგები მნიშვნელოვანი და გამამხნევებელია, გაგაგრძო ორატორმა, მაგრამ ისინი თვითდამშვიდების უფლებას რადი გვაძლევენ. პირიქით, ახლა საჭიროა შეუპოვრად ვიბრძოლოთ უდიდესი პრობლემების გადასაჭრელად, ეერომლისოდაც ნამდვილი და მტკიცე უშიშროება შეუძლებელია.

ყველაფერი მოწმობს, რომ ეს თათბირი პროცესის დასაწყისია. სერიოზული ღონისძიებანი უნდა განვახორციელოთ ყოველივე იმ ეარაყოფითის დაძლევის მიზნით, რაც დიდი ზნის მანძილზე დაგროვდა და ჯერ კიდევ ღრმად აქვს გადგმული ფესვი ევროპის საზოგადოებრივ, პოლიტიკურ და ეკონომიურ სტრუქტურაში და თრგუნავს თაობათა შეგნებას, ამიტომ ამ თათბირის მიერ შექმნილ ატმოსფეროში დიდი მნიშვნელობა აქვს დაწყებულ გზას. ჩვენ ვერ დავუშვებთ, განაცხადა ი. ბროზ ტიტომ, რომ წლობით გადაიდოს გადაწყვეტილებათა მიღება საკითხებზე, რომლებიც დღეს შეიძლება და კიდევაც უნდა გადაწყდეს. ეს არის ჩვენი დიდი საერთო პასუხისმგებლობა.

დასასრულ ი. ბროზ ტიტომ თქვა: ჩვენი შეხვედრა იმართება იმ წელს, რომა აღინიშნება ფაშიზმზე გამარჯვების საიუბილეო ოცდაათი წლისთავი. სწორედ ამ დღეებში ბევრი რამ აღდგება ახსოვსა და გრძნობებში, განსაკუთრებით იმათ ახსოვსა და გრძნობებში, ვინც განვლო ეს საშინელი გოლგოთა. კეთილშობილურ არ შეუძლია და ვერც დაივიწყებს წარსულის ბოროტებას, რადგან მხოლოდ ამის მეოხებით იდგება უფრო თხზელად მშვიდობის სადარაჯოზე. ის, რასაც ევროპა აკეთებს ახლა, ამ იუბილეს საუკეთესო ზეიმობაა.

როგორც ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა უო ჰო კალევა კეკონენმა აღნიშნა, ის, ფაქტი, რომ 35 სახელმწიფოს ხელმძღვანელები ჰელსინკში ჩამოვიდნენ ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის დასკვნითი აქტის ხელმოსაწერად, მოწმობს საერთო მისწრაფებას გადაწყდეს პრობლემები თათბირის პრინციპების შესაბამისად.

დელეგაციები პრინციპებისა, რომლებიც ამ თათბირის მონაწილე სახელმწიფოებმა გადაწყვიტეს განაბარაკელონ თავიანთ ურთიერთობაში, განაგრძო ორატორმა, ქმნის მთელი ჩვენი თათბირის საწყის პუნქციას. ამავე დროს ეს დეკლარაცია ყველაზე უშუალოდ ახდენს გავლენას ჩვენს სახელმწიფოებზე ამ თვალსაზრისით, რომ აწესრიგებს მათს ურთიერთსაქმიანობასა და ურთიერთობას. ჩვენ დიდი ამაყოფილებით აღვნიშნავთ, რომ თუმცა პრინციპების დეკლარაციას სატუძველად დაუდეს ევროპიანებული ერების ორგანიზაციის პრინციპები და მიზნები, იგი სცილდება ევროთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას, რადგან ამ პრინციპებს უსადაგებს ჩვენი კონტინენტის კონკრეტულ პირობებს. მაშასადამე, ახლანდელი თათბირის მიერ შეთანხმებული პრინციპები არა მარტო იმეორებენ იმას, რაც ამამდე იყო ნათქვამი, არამედ მოასწავებენ ახალი ნორმების შემუშავებასაც სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის ახალი თვისებების მინაგების მიზნით. სახელმწიფოთა ურთიერთმოქმედების საფუძველი — სუვერენული თანასწორობის პრინციპი — ახლა იღებს წინანდელზე გაცილებით უფრო შინაარსიან, ეეორო ზუსტ და მდიდარ განსაზღვრას.

ახლანდელი თათბირი, ხაზი გაუსვა ფინეთის პრეზიდენტმა, მამაცურად ცდილობს ჩასწვდეს ისეთ სფეროებსა და ისეთ დარგებს, სადაც პრაქტიკულად ჯერ არის დაგროვილი ან თითქმის საერთოდ არ არის რაიმე გამოცდილება. მიემართოთ ცდებს მხარი გაუწიონო დაძაბულობის პოლიტიკურ შენელებას იმ გადაწყვეტილებათა დახმარებით, რომლებიც ამცირებენ შიშს, რაც შეიძლება გამოიწვიოს სამხედრო აქტივობამ შეიდობიან დროს. ჩვენ, ფინელები, უკვე დიდი ხანია ვმონწილეობთ საქმიანობაში, რომელიც მიზნად ისახავს ეკონომიური ურთიერთობის განვითარებას ჩვენს ქვეყანასა და სხვა ქვეყნებს შორის ჩვენი პარტნიორების ეკონომიური და სოციალური სისტემების მიუხედავად. ჩვენი გამოცდილება მოწმობს, რომ ამგვარი მიდგომა მეტად სასარგებლოა.

გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ ჩვენი წარმომადგენლები ორი წლის შემდეგ კვლავ შეხვდებიან ერთმანეთს, რათა შეაჯამონ ჩვენი გამოცდილება და დასახონ მომავლის კურსი, ჩვენი აზრით, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებაა, რომელიც თათბირმა მიიღო, თქვა შემდეგ, უ. კეკონენმა, მომავალშიც საჭიროო იქნება, რომ ჩვენს ღონისძიებებს საფუძვლად დაედოს ისეთი პრინციპები, როგორიც ახლა.

ჩვენი თათბირის მიერ დაწყებული პროცესი, თქვა დასასრულ უ. კეკონენმა, მოითხოვს დაუკრავილ ღონისძიებებს, რათა განუხრელად შევასრულოთ დასახული კურსი და შევინარჩუნოთ აღებული ტემპი. ამ თვალსაზრისით ჩვენი თანამშრომლობის მომავალი ეტაპი უკვე დაიწყო. ჩვენ მოგვაგონა, რომ დაძაბულობის შენელების საქმეში ახლანდელი თათბირის მიერ შეტანილი წვლილი ახლოვეს ის დროს **დადგომას, როცა** შორს გამიზნულ საერთაშორისო განიარაღების იდეები არა მარტო შორეული პერსპექტივა იქნება, არამედ ჩვენი თანამშრომლობის განუყოფელ ელემენტიც ეახდება.

გუშანდელ სხდომაზე გამოვიდნენ ავრეთვე თურქეთის პრემიერ-მინისტრი **ს. დემირელი,** დანიის პრემიერ-მინისტრი **ა. ანკენსენი,** ბელგიის პრემიერ-მინისტრი **ლ. ტინდემანსი,** შვეიცარის პრემიერ-მინისტრი **უ. ჰალმე,** ავსტრიის რესპუბლიკის ფედერალური კანცლერი **ბ. კრაისკი,** ესპანეთის მთავრობის თავმჯდომარე **კ. არიასი ნავარო.**

ჰელსინკი, 1 აგვისტო. (საკ. დესის სპეც. კორ.). დღეს ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის ბოლო დღეა. დილის სხდომას თავმჯდომარეობდა ლიხტენშტეინის სამთავროს პრემიერ-მინისტრი და საგარეო საქმეთა მინისტრი ვ. კიბერი.

პირველი გამოვიდა ლიხტენშტეინიდან წოდებული ჩამოსული პორტუგალიის რესპუბლიკის პრეზიდენტი ფრანსისკო კუნტა გომეში. მან შეკრებილთ შეახსენა, რომ 1974 წლის 25 აპრილამდე ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირში პორტუგალიის მონაწილეობა ატარებდა ორაზროვან ხასიათს. რაც დაავადებული იყო იმ პოლიტიკურ ძალებისა, რომელნიც პორტუგალია საკუთარი პოლიტიკის წყალობით მოიქცა.

ახალმა ეზამ, რომელიც ამიერიდან აირია ქვეყანამ, თქვა ორატორმა, შესაძლებელი გახდა მისი სრული შემოერთება თანამშრომლობის სულისკვეთებით.

ჩვენ გამოვაცხადეთ და განუხრელად ვახორციელებთ სიტარო პოლიტიკას. რომლის საფუძველია როგორც წინათ დადებულ საერთაშორისო შეთანხმებათა პატივისცემა, ისე მისწრაფებაც — დავამყაროთ ყველაზე ფართო ურთიერთობა მსოფლიოს ხალხებთან სუვერენული თანასწორობის, სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩაურევლობისა და ყველა ერის თანაგამორკვევის უფლების ცნობის პრინციპების საფუძველზე. ასეთია ჩვენი საერთაშორისო პოლიტიკა, ასეთია პრინციპები, რომლებსაც ეადგენთ სხვა ქვეყნების მიმართ და რომელთა გამოყენებასაც მოვითხოვთ სხვებისაგან, ხაზგასმით აღნიშნა ფ. კუნტა გომეშმა. ჩვენი თათბირი, განაცხადა მან, სავსებით ეიქვეულია, წარმოადგენს ევროპაში დაძაბულობის შენელების პროცესის გადამწყვეტ მომენტს. თათბირის დოკუმენტებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ჩვენ ახლა ისინი პრაქტიკული საქმეებით უნდა განვამტკიცოთ, არ შევანელოთ ჩვენი მეცადინეობა.

ჩემ მიერ გამოთქმულ იმედებს, თქვა დასასრულ ფ. კუნტა გომეშმა, ისიარებს პორტუგალიის ხალხი. ეს ისის იმედებია, რომ ევროპას აღარ დაეშუქრება კონფლიქტების საფრთხე და ეა ბიძლებს ამრავლოს მისი ხალხებისათვის საერთო ღირებულებანი, დაუმკვიდროს მათ უკეთესი მომავალი მშვიდობისა და სამართლიანობის ვითარებაში.

სიტყვა ეძლევა **ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ჯ. ფორდს.** აქ წარმოდგენილი ქვეყნები ევროპაში მშვიდობას იხარჩუნებენ 30 წლის მანძილზე. მაგრამ ძალიან ხშირად ისინი დიდი გაჭირვებით აღწევდნენ თავს მნიშვნელოვან კონფლიქტებს. საკითხი, თუ როგორ შეიქმნას ყველა ხალხისათვის სამართლიანი და ხანგრძლივი მშვიდობა, დღემდე ღიად რჩება.

ჩვენ გვაქვს ვალდებულებანი ჩვენი შვილებისა და ყველა კონტინენტის ბავშვების წინაშე ხელიდან არ გავუშვათ უკეთესი და უფრო უსაფრთხო მსოფლიოს შექმნისათვის უდიდესი მუშაობის არც ერთი შესაძლებლობა. თუ ფრთხილად ვიქნეთ წინ, იმ განზრახვით, რომ ნამდვილ პროგრესს მივაღწიოთო, ახლა უკვე გვაქვს შესაძლებლობა ხალხთა იმედები რეალობად ვაქციოთ, აღნიშნა პრეზიდენტმა.

კონფრონტაციის ერა, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ჰყოფდა ეროპას, ახლა, შესაძლოა მთავრდება. თქვა შემდეგ ჯ. ფორდმა. ახლა ყველა გრძნობს, რომ უმჯობესია მდგომარეობა, **რომ კონფრონტაციიდან** დადაედგარო უსაფრთხო ურთიერთობელსაყრელი თანამშრომლობის ახალ შესაძლებლობებზე. სწორედ ამის შესახებ ვიმსჯელეთ აქ, და მე მიიუსალმები და ვიზიარებ ამ იმედებს.

შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა დამსწრეთ მოაგონა, რომ უკანასკნელ წლებში მიღწეულ იქნა დიდმნიშვნელოვანი შეთანხმებანი. ამერიკის შეერთებული შტატისა და საბჭოთა კავშირის 1972 წლის ნეიტრალიზაციისა ბალისტიკურ ბალისტიკურ ბალისტიკურ

დასკვნითი აქტი

(დასასრული).

VII. ადამიანის უფლებების და ძირითადი თავისუფლებების, მათ შორის აზრის, სინდისის, რელიგიისა და რწმენის თავისუფლების პატივისცემა

მონაწილე სახელმწიფოები პატივისცემით მოეკიდებიან ადამიანის უფლებებსა და ძირითად თავისუფლებებს, მათ შორის აზრის, სინდისის, რელიგიისა და რწმენის თავისუფლებას, ყველასათვის განურჩეველად რასისა, სქესისა, ენისა და რელიგიისა.

ისინი ხელს შეუწყობენ და განავითარებენ მოქალაქეობრივი, პოლიტიკური, ეკონომიური, სოციალური, კულტურული და სხვა იმ უფლებებისა და თავისუფლებების ეფექტიან განხორციელებას, რომლებიც გამომდინარეობენ ადამიანის პიროვნების დამახასიათებელი ღირსებიდან და არსებითი მნიშვნელობა აქვს პიროვნების თავისუფალი და სრული განვითარებისათვის.

ამ ფარგლებში მონაწილე სახელმწიფოები ცნობენ და პატივს სცემენ პიროვნების თავისუფლებას იწამოს, მარტო ან სხვებთან ერთად, რელიგია ან სარწმუნოება, იმოქმედოს საკუთარი სინდისის კარნახის თანახმად.

მონაწილე სახელმწიფოები, რომელთა ტერიტორიაზე არიან ეროვნული უმცირესობანი, პატივისცემით მოეკიდებიან კანონის წინაშე ასეთ უმცირესობათა წარმომადგენელი პირების თანასწორობის უფლებას, მიანიჭებენ მათ სრულ შესაძლებლობას ნამდვილად ისარგებლონ ადამიანის უფლებებით და ძირითადი თავისუფლებებით და ამრიგად დაიცავენ მათ კანონიერ ინტერესებს ამ დარგში.

მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების საყოველთაო მნიშვნელობას, რომელთა პატივისცემა არსებითი ფაქტორია მშვიდობის, სამართლიანობის და კეთილდღეობისა, რაც აუცილებელი მათ შორის, ისე როგორც ყველა სახელმწიფოს შორის მეგობრული ურთიერთობისა და თანამშრომლობის განვითარების უზრუნველყოფისათვის.

ისინი მუდამ პატივისცემით მოეკიდებიან ამ უფლებებსა და თავისუფლებებს თავიანთ ურთიერთობაში და იზრუნენ ღონისძიებებს, ერთობლივად და დამოუკიდებლად, კერძოდ, გაერთიანებულნი ერების ორგანიზაციასთან თანამშრომლობით, რათა ხელი შეუწყონ მათს საყოველთაო და ეფექტურ პატივისცემას.

ისინი იდასტურებენ პირთა უფლებას იცოდნენ თავიანთი უფლებებიდან-მოვალეობანი ამ დარგში და მოიქცნენ მათ შესაბამისად.

მონაწილე სახელმწიფოები ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დარგში, იმოქმედებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებისა და ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მიზნებისა და პრინციპების შესაბამისად. ისინი შეასრულებენ აგრეთვე თავიანთ ვალდებულებებს, როგორც ისინი დაწესებულია ამ დარგის საერთაშორისო დეკლარაციებსა და შეთანხმებებში, მათ შორის საერთაშორისო პაქტებში ადამიანის უფლებათა შესახებ, თუ ისინი დაკავშირებული არიან ასეთი პაქტებით.

VIII. ხალხთა თანასწორუფლებიანობა და საკუთარი ბედის გამგებლობის უფლება

მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ ხალხთა თანასწორუფლებიანობასა და თავიანთი ბედის გამგებლობის უფლებას, მუდამ იმოქმედებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მიზნებისა და პრინციპების და საერთაშორისო სამართლის სათანადო ნორმების შესაბამისად, იმ ნორმების ჩათვლით, რომლებიც სახელმწიფოების ტერიტორიულ მთლიანობას ეხება.

ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და თავიანთი ბედის გამგებლობის უფლებიდან გამომდინარე, ყველა ხალხს მუდამ აქვს უფლება სრული თავისუფლების პირობებში განსაზღვროს, — როცა უნდათ და როგორც უნდათ, — თავიანთი საშინაო და საგარეო პოლიტიკური სტატუსი გარედან ჩაურევლად და თავიანთი შეხედულებისამებრ ვანახორციელონ თავიანთი პოლიტიკური, ეკონომიური, სოციალური და კულტურული განვითარება.

მონაწილე სახელმწიფოები იდასტურებენ, რომ ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და საკუთარი ბედის გამგებლობის უფლების პატიჟისცემას და ეფექტიან განხორციელებას საყოველთაო მნიშვნელობა აქვთ მათ შორის, ისე როგორც ყველა სახელმწიფოს შორის მეგობრული ურთიერთობის განვითარებისათვის; ისინი აღნიშნავენ აგრეთვე, რომ საჭიროა გამორიცხულ იქნეს ამ პრინციპის დარღვევა ყოველგვარი ფორმით.

მონაწილე სახელმწიფოები გამოთქვამენ რწმენას, რომ ამ პრინციპების პატივისცემა ხელს შეუწყობს მათი ნორმალური და მეგობრული ურთიერთობის განვითარებას და ყველა დარგში მათ შორის თანამშრომლობის პროგრესს. ისინი აგრეთვე გამოთქვამენ რწმენას, რომ ამ პრინციპების პატივისცემა ხელს შეუწყობს მათი პოლიტიკური კონტაქტების განვითარებას, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს მათი პოზიციებისა და შეხედულებების უკეთეს ურთიერთგაგებას.

მონაწილე სახელმწიფოები აცხადებენ, რომ განზრახული აქვთ ყველა სხვა სახელმწიფოსთან ურთიერთობა წარმართონ ამ დეკლარაციაში ჩამოყალიბებული პრინციპების სულისკვეთებით.

ბ) საკითხები, რომლებიც ეხება ზემოთ ჩამოყალიბებული ზოგიერთი პრინციპის განხორციელებას

(i) მონაწილე სახელმწიფოები,

ადასტურებენ რა, რომ პატივს სცემენ და განახორციელებენ დებულებას ძალისა თუ ძალით მუქარის გამოუყენებლობის შესახებ, და დარწმუნებული არიან, რომ საჭიროა გადააქციონ იგი საერთაშორისო ცხოვრების ქმედით კანონად,

აცხადებენ, რომ პატივს სცემენ და ერთმანეთთან ურთიერთობაში შეასრულებენ მათ შორის შემდეგ დებულებებს, რომლებიც შეესაბამება იმ პრინციპების დეკლარაციას, რომლებთაც მონაწილე სახელმწიფოები იხელმძღვანელებენ ერთმანეთთან ურთიერთობაში:

— განახორციელებენ და გამოხატავენ ყოველნაირად და ყველა ფორმით, რომელსაც კი ისინი შესაფერად მიიჩნევენ, ვალდებულებას თავი შეიკავონ ძალით მუქარისა თუ მისი გამოყენებისაგან,

— თავს შეიკავებენ სხვა მონაწილე სახელმწიფოთა წინააღმდეგ განსაკუთრებით მის ტერიტორიაზე შეჭრისა თუ თავდასხმისათვის ძალადაგებული ძალების რაიმე გამოყენებისაგან, თუ ეს არ შეესაბამება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მიზნებსა და პრინციპებს და პრინციპების დეკლარაციის დებულებებს, რომლებთაც მონაწილე სახელმწიფოები იხელმძღვანელებენ ერთმანეთთან ურთიერთობაში.

— თავს შეიკავებენ და არაკეთილ ძალას არ გამოავლენენ იმისათვის, რომ სხვა მეორე მონაწილე სახელმწიფოს უარი თქმევინონ მისი სუვერენული უფლებების სრულ განხორციელებაზე.

— თავს შეიკავებენ ეკონომიური იძულების ყოველგვარი აქტისაგან, რომელიც მიზნად დაისახავს თავიანთ ინტერესებს დაუქვემდებარონ სხვა მონაწილე სახელმწიფოთა იმ უფლებების განხორციელება, რომლებიც დამახასიათებელია მათი სუვერენიტეტისათვის, და ამ გზით უზრუველყონ თავისთვის რაიმე უპირატესობანი.

— განახორციელებენ ეფექტიან ღონისძიებებს, რომლებიც თავიანთი მოცულობისა და ხასიათის გამო წარმოადგენენ ნაბიჯებს საბოლოო ხეგარშით მკაცრ და ეფექტიან საერთაშორისო კონტროლს დაქვემდებარებული საყოველთაო და სრული განიარაღებას მიღწევის ძმობრთულები.

— ხელს შეუწყობენ ყველა საშუალებით, რომლებსაც თვითეული მათგანი შესაფერად მიიჩნევს, ხალხთა შორის ნდობისა და პატივისცემის ისეთი ატმოსფეროს შექმნას, რომელიც შეესაბამება მათ მოვალეობებს თავი შეიკავონ ავრესსიული ომების პროპაგანდისა და ძალისა თუ ძალით მუქარის ყოველგვარი გამოყენებისაგან სხვა მონაწილე სახელმწიფოს წინააღმდეგ, თუ ეს არ შეესაბამება გაერთიანებული ერების მიზნებისა და პრინციპების დეკლარაციას, რომლებითაც მონაწილე სახელმწიფოები იხელმძღვანელებენ ერთმანეთთან ურთიერთობაში.

— მთელ ძალ-ღონეს მოიმარჯან იმას, რომ გადაწყვიტონ ერთმანეთს შორის ყოველგვარი დავა, რომლის განგრძობაც საფრთხეს შეუქმნიდა საერთაშორისო მშვიდობასა და ევროპის უშიშროებას, მხოლოდ მშვიდობიანი საშუალებებით, და უწინარეს ყოვლისა ეცდებიან დავა გადაწყვიტონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 33-ე მუხლში აღნიშნული მშვიდობიანი საშუალებებით.

თავს შეიკავებენ ყოველგვარი მოქმედებისაგან, რომელმაც შეიძლება გააძნელოს მონაწილე სახელმწიფოთა შორის დავის მშვიდობიანი მოწესრიგება,

(ii) მონაწილე სახელმწიფოებს, რომლებიც

ადასტურებენ, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი დავა გადაჭრან ისე, როგორც ეს განსაზღვრულია დავის მშვიდობიანი მოწესრიგების პრინციპით;

დარწმუნებულნი არიან, რომ დავის მშვიდობიანი მოწესრიგება ძალისა თუ ძალით მუქარის გამოუყენებლობის დამატებაა, ამასთან ორივე კი ფაქტორი არსებითია. ფუძეა ორთადერთი, მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის;

სურთ განამტკიცონ და სრულყონ დავის მშვიდობიანი მოწესრიგების მათ განკარგულებაში არსებული საშუალებანი;

1. მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი განაგრძონ დავის მშვიდობიანი მოწესრიგების ყველასათვის მისაღები მეთოდის განხილვა და შემუშავება, რომელიც მიზნად ისახავს არსებულ საშუალებათა შეკრებას, და ამ მიზნით მუშაობა „დავის მშვიდობიანი მოწესრიგების ევროპის სისტემის შესახებ კონვენციის პროექტზე", რომელიც შვეიცარიამ წარადგინა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მეორე ეტაპზე, ისევე როგორც სხვა წინადადებებზე, რომლებიც მას ეხება და მიზნად ისახავენ ასეთი მეთოდის შემუშავებას.

2. იღებენ გადაწყვეტილებას, რომ შვეიცარიის მიწვევით პირველ პენქტში ჩამოყალიბებული დავალების ფარგლებში მოიწვევენ ყველა მონაწილე სახელმწიფოს ექსპერტთა თათბირს, თათბირის შემდგომი ნაბიჯების ფარგლებში და პროცედურების დაცვით, რომლებიც განსაზღვრულია კარში „თათბირის შემდგომი ნაბიჯები".

3. ექსპერტთა ეს თათბირი გაიმართება წარმომადგენელთა შეხვედრის შემდეგ, რომლებსაც მონაწილე სახელმწიფოთა საგარეო საქმეთა მინისტრები დანიშნავენ და იგი „თათბირის შემდგომი ნაბიჯების" კარის შესაბამისად დაგეგმილი 1977 წლისათვის; ექსპერტთა ამ თათბირის მუშაობის შედეგები წარედგინებათ მთავრობებს.

2. დოკუმენტი ნდობის განმტკიცების ღონისძიებებისა და უშიშროების და განიარაღების ზოგიერთი ასპექტის შესახებ

მონაწილე სახელმწიფოებმა,

რომლებსაც სურთ აღკვეთონ ძალადობლობის მიზეზები, რომლებიც შეიძლება აოსებობდეს მათ შორის, და ამით შეიტანონ წვლილი მსოფლიოში მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებაში;

მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ნდობა ურთიერთშორის და ამით ხელი შეუწყონ ევროპაში სტაბილურობისა და უშიშროების დამკვიდრებას.

მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი აგრეთვე თავიანთ ურთიერთობაში, ისევე როგორც საერთაშორისო ურთიერთობაში თავი შეიკავონ ძალის ან ძალით მუქარის გამოყენებისაგან როგორც ამა თუ იმ სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის ან პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, ისე რაიმე სხვა გზით, რაც შეუთავსებელია გაერთიანებული ერების მიზნებთან და ამ დასკვნითს აქტში მოცემულ პრინციპების დეკლარაციასთან, რომლებითაც მოხაზილე სახელმწიფოები იხელმძღვანელებენ ერთმანეთთან ურთიერთობაში;

საკმაოდ მიაჩნიათ ხელი შეუწყონ შეიარაღებული კონფლიქტის საშიშროების შემცირებას, აგრეთვე იმ სამხედრო საქმიანობის აოასწორი გაგებისა ან არასწორი შეფასების შემცირებას, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს შიში, განსაკუთრებით ისეთ პირობებში, როცა მონაწილე სახელმწიფოებს არ გააჩნიათ გარკვეული და დროული ინფორმაცია ასეთი საქმიანობის ხასიათის შესახებ;

მხედველობაში იღებენ მოსაზრებებს, რომლებიც შეეხება დაძაბულობის შენელებისა და განიარაღების ხელშეწყობისაკენ მიმართულ ღონისძიებებს;

აღიარებენ, რომ სამხედრო წვრთნაზე მეთვალყურეთა გაცვლა — მიწვევა ხელს შეუწყობს კონტაქტებსა და ურთიერთგაგებას;

შეისწავლეს ჯარების დიდი გადაჯგუფების წინასწარი შეტყობინების საკითხი ნდობის განმტკიცების მიზნით;

აღიარებენ, რომ არის სხვა საშუალებები, რომელთა დახმარებით ცალკეულ სახელმწიფოებს შეუძლიათ დამატებით შეიტანონ წვლილი თავიანთი საერთო მიზნებით მიღწევაში;

დარწმუნებულნი არიან, რომ დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს წინასწარ შეტყობინებას დიდი სამხედრო წვრთნის შესახებ ეროთიერთგაგების ხელშეწყობისა და ნდობის, სტაბილურობისა და უშიშროების განმტკიცებისათვის;

მხედველობაში იღებენ თვითეული მათგანის პასუხისმგებლობას იმისათვის, რომ ხელი შეუწყონ ამ მიზნების და განახორციელონ ეს ღონისძიება შეთანხმებული კრიტერიუმებისა და პირობების შესაბამისად, რაც ამ მიზნების მიღწევის არსებითი ფაქტორია;

აღიარებენ, რომ ეს პოლიტიკური გადაწყვეტილებიდან გამომდინარე ღონისძიება ხორციელდება ნებაყოფლობითს საფუძველზე;

მიიღეს შემდეგი:

I. დიდი სამხედრო წვრთნის წინასწარ შეტყობინება

თავიანთი დიდი სამხედრო წვრთნის შესახებ ისინი შეატყობინებენ ყველა სხვა მონაწილე სახელმწიფოს ჩვეულებრივი დიპლომატიური არხებით შემდეგი დებულებების შესაბამისად.

ერთმანეთს შეატყობინებენ 25.000 და მეტი საერთო რაოდენობის სახმელეთო ჯარების დიდ სამხედრო წვრთნას, რომელიც ეწყობა დამოუკიდებლად ან ნებისმიერ შესაძლებელ სამხედრო-საჰაერო ან სამხედრო-საზღვაო კომპონენტებთან ერთად (ამ კონტექსტში სიტყვა „ჯარები" შეიცავენ საამფიბიო და საჰაერო-სადესანტო ჯარებს). საამფიბიო ან საჰაერო-სადესანტო ჯარების დამოუკიდებელი წვრთნის, ან ერთობლივი წვრთნის შემთხვევაში, რომლებშიც ისინი მონაწილეობენ, ეს ჯარები ასევე შევა ამ რაოდენობაში. ერთმანეთს შეატყობინებენ აგრეთვე ერთობლივ წვრთნას, რომელშიც ზემოთ აღნიშნული რაოდენობა არ მონაწილეობს, მაგრამ სამაგიეროდ მონაწილეობენ სახმელეთო ჯარები მნიშვნელოვანი რაოდენობის საამფიბიო ან საჰაერო-სადესანტო ჯარებთან ანდა ორივეთან ერთად.

ერთმანეთს შეატყობინებენ დიდ სამხედრო წვრთნას, რომელიც ეწყობა ევროპაში რომელიმე მონაწილე სახელმწიფოს ტერიტორიაზე, აგრეთვე სადაც ეს ხერხდება, მიმდებარე ზღვის რაიონებში და საჰაერო სივრცეში.

იმ შემთხვევაში, როცა მონაწილე სახელმწიფოს ტერიტორია სცილდება ევროპის ფარგლებს, ერთმანეთს წინასწარ უნდა შეატყობინონ მხოლოდ წვრთნა, რომელიც ეწყობა 250 კილომეტრის ფარგლებში მისი საზღვრიდან, რომელიც ევროპის სხვა მონაწილე სახელმწიფოს უყურებს ან საერთოა მასთან, მაგრამ მონაწილეა სახელმწიფოსათვის აუცილებელი არ არის შეტყობინება იმ შემთხვევაში, როცა ეს რაიონი ასევე ემიჯნება მის საზღვარს, რომელიც უყურებს არაევროპულ არამონაწილე სახელმწიფოს ან საერთოა მასთან.

შეტყობინება გაიგზავნება წვრთნის დაწყებიდან 21 ან მეტი დღით ადრე ან მისი დაწყების თარიღამდე პირველი შესაძლებლობისთანავე, თუ წვრთნა დაინიშნება უფრო მოკლე ვადაში.

შეტყობინება შეიცავს ინფორმაციას წვრთნის სახელწოდების შესახებ, თუ ასეთი მიენიჭა, წვრთნის საერთო მიზნის, მისი მონაწილე სახელმწიფოების, მონაწილე ჯარების ტიპის ან ტიპებისა და რაოდენობის შესახებ, მისი მოწყობის რაიონისა და საერაუდო ვადების შესახებ. მონაწილე სახელმწიფოები აგრეთვე თუ ამის შესაძლებლობა იქნება, წარადგენენ შესაბამის დამატებითს ინფორმაციას, კერძოდ ისეთს, რომელიც ეხება მონაწილე ძალების კომპონენტებსა და ამ ძალების ამოქმედების დროს.

სხვა სამხედრო წვრთნის წინასწარ შეტყობინება

მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ, რომ მათ შეუძლიათ ხელი შეუწყონ ნდობის შემდგომ განმტკიცებასა და უშიშროებისა და სტაბილურობის დამკვიდრებას და ამ მიზნით შეუძლიათ აგრეთვე შეატყობინონ სხვა მონაწილე სახელმწიფოებს, განსაკუთრებით ისეთი წვრთნის მოწყობის რაიონის მახლობლად მდებარე სახელმწიფოებს — მცირე მასშტაბის სამხედრო წვრთნის შესახებ.

ამავე მიზნით მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ აგრეთვე, რომ მათ შეუძლიათ შეატყობინონ ნოლმე ერთმანეთს მათ მიერ მოწყობილი სხვა სამხედრო წვრთნა.

მეთვალყურეთა გაცვლა

მონაწილე სახელმწიფოები მოიწვევენ სხვა მონაწილე სახელმწიფოებს, ნებაყოფლობის წესით და ორმხრივ საფუძველზე, ყველა მონაწილე სახელმწიფოს მიმართ ნაცვალგებისა და კეთილი ნების სულისკვეთებით, გაგზავნონ მეთვალყურენი სამხედრო წვრთნაზე დასასწრებად.

მიმწვევი სახელმწიფო თვითეულ ცალკეულ შემთხვევაში განსაზღვრავს მეთვალყურეთა რაოდენობას, მათი მონაწილეობის წესსა და პირობებს და წარმოადგენს სხვა ინფორმაციას, რომელსაც სასარგებლოდ მიიჩნევს. იგი უზრუნველყოფს შესაბამის პირობებსა და სტუმართმოყვარულ მიღებას.

მიწვევა წინასწარ გაიგზავნება ჩვეულებრივი დიპლომატიური არხებით იმდენი ხნით ადრე, რამდენადაც ეს შესაძლებელია.

ჯარების დიდი გადაადგილების წინასწარი შეტყობინება

ჰელსინკის კონსულტაციების დასკვნითი რეკომენდაციების შესაბამისად მონაწილე სახელმწიფოებმა ნდობის განმტკიცების თვალსაზრისით შეიტყობელეს ჯარების დიდი გადაადგილების წინასწარ შეტყობინების საკითხი.

ამის შესაბამისად მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ, რომ შეუძლიათ თავიანთი საკუთარი შეხედულებისამებრ და ნდობის განმტკიცების ხელშეწყობის მიზნით, შეატყობინონ ერთმანეთს თავიანთი ჯარების დიდი გადაადგილება,

ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მონაწილე სახელმწიფოები შემდგომშიც ამავე ვალისკვეთებით განიხილავენ ჯარების დიდი გადაადგილების წინასწარ შეტყობინების საკითხს, ამასთან გაითვალისწინებენ, კერძოდ, ამ დოკუმენტში დასახელებული ღონისძიებების განხორციელების დროს შეძენილ გამოცდილებას.

ნდობის განმტკიცების სხვა ღონისძიებანი

მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ, რომ არსებობს სხვა საშუალებანი, რომელთა დახმარებით შეიძლება მათი საერთო მიზნების ხელშეწყობა.

კერძოდ, ისინი ნაცვალგების ჯერიანი გათვალისწინებით და უკეთესი ურთიერთგაგების მიზნით ხელს შეუწყობენ სამხედრო პერსონალების ურთიერთმიწვევას, მათ შორის სამხედრო დელეგაციების ვიზიტებს.

□

იმისათვის, რომ უფრო სრული იყოს მათი საერთო წვლილი ნდობის განმტკიცების საერთო მიზნის მიღწევის საქმეში, მონაწილე სახელმწიფოები, რომლებიც თავიანთ სამხედრო საქმიანობას ახორციელებენ დიდი სამხედრო წვრთნის წინასწარ შეტყობინების შესახებ დებულებით გათვალისწინებულ რაიონში, ჯერიან ანგარიშს გაუწევენ და პატივს მიაგებენ ამ მიზნს.

ისინი აღიარებენ აგრეთვე, რომ ზემოაღნიშნული დებულებების განხორციელების შედეგად შეძენილ გამოცდილებას შეეძლია ხელი შეუწყოს იმ ღონისძიებათა გაღრმავებასა და გაფართოებას, რომლებიც მიზნად ისახავენ ნდობის განმტკიცებას.

II. საკითხები, რომლებიც განიარაღებას ეხება

მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ, რომ ისინი ყველანი დაინტერესებული არიან მეცადინეობით, რომელიც მიზნად ისახავს სამხედრო კონფრონტაციის შემცირებას და განიარაღების ხელშეწყობას, რაც უნდა დაემატოს ევროპაში პოლიტიკური დაძაბულობის შენელებას და განამტკიცოს მათი უშიშროება. მათ სწამთ, რომ ამ დარგებში უნდა განხორციელდეს ეფექტიანი ღონისძიებანი, რომლებიც თავიანთი მასშტაბურობითა და ხასიათით წარმოადგენენ ნაბიჯებს იმ გზაზე, რომ მკაცრი და ეფექტიანი საერთაშორისო კონტროლის პირობებში საბოლოო ანგარიშით მიღწეულ იქნეს საყოველთაო და სრული განიარაღება, რასაც უნდა მოჰყვეს ქვეყნად მშვიდობისა და უშიშროების დამკვიდრება.

III. ზოგადი მოსაზრებანი

განიხილეს რა სხვადასხვა საკითხზე გამოთქმული შეხედულებანი ევროპაში დაძაბულობის შენელებისა და განიარაღების ხელშეწყობის ერთობლივ ღონისძიებათა განხორციელების გზით უშიშროების განმტკიცების შესახებ, მონაწილე სახელმწიფოები ასეთ ღონისძიებათა განხორციელებისას, ამ კონტექსტში, იხელმძღვანელებენ, კერძოდ, შემდეგი არსებითი მოსაზრებებით:

— უშიშროების პოლიტიკური და სამხედრო ასპექტების ურთიერთშემავსებელი ხასიათი;

— თანაფარდობა თვითეული მონაწილე სახელმწიფოს უშიშროებასა და მთლიანად ევროპის უშიშროებას შორის და თანაფარდობა, რომელიც — მსოფლიო უშიშროების უფრო ფართო კონტექსტში, — არსებობს ევროპას უშიშროებასა და ხმელთაშუა ზღვის რაიონის უშიშროებას შორის;

— ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის ყველა მონაწილე სახელმწიფოს სუვერენული თანასწორობისათვის დამახასიათებელი ინტერესების პატივისცემა;

— იმის აუცილებლობა, რომ მოლაპარაკების მიზნით მიმდინარე ფორუმების მონაწილენი ზრუნავდნენ, რათა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მონაწილე სხვა სახელმწიფოებს შესაფერის საფუძველზე მიეწოდოთ ინფორმაცია შესაბამისი განვითარების, პროგრესისა და შედეგების შესახებ, და, მეორე მხრივ, ამ სახელმწიფოებიდან თვითეულის გამართლებული დაინტერესება იმით, რომ მისი შეხედულებანი განხილულ იქნეს.

□

დასკვნითი აქტი შეიცავს აგრეთვე კარებს, რომლებიც განეკუთვნება თანამშრომლობას ეკონომიკის, მეცნიერებისა და ტექნიკის და გარემოს დაცვის დარგში, თანამშრომლობას სხვა სექტორებში (ტრანსპორტი განვითარება, ტურიზმის განვითარება, მუშახელის მიგრაციის ეკონომიური და სოციალური ასპექტები, კადრების მომზადება). საკითხებს, რომლებიც ხმელთაშუაზღვისპირეთში უშიშროებასა და თანამშრომლობას განეკუთვნება. დოკუმენტში არის კარი, რომელიც ეხება თანამშრომლობას ჰუმანიტარულ და სხვა დარგებში, მათ შორის კონტაქტებს ადამიანებს შორის, ინფორმაციის გაცვლას, თანამშრომლობას და გაცვლას კულტურის დარგში, თანამშრომლობას და გაცვლას განათლების დარგში. დოკუმენტის დასკვნითი კარი ეხება თათბირის შემდგომ ღონისძიებებს.

დასკვნითი აქტის სრული ტექსტი ქვეყნდება გაზეთებში „პრავდასა" და „იზვესტიაში".

მეტკიცე, ერთგული მეგობრობისათვის

უცხოეთის პრესის გამოხმაურება ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვაზე

ევროპის ყველა სახელმწიფოს პრესამ, მსოფლიოს სხვა ქვეყნების გაზეთებმა პირველ გვერდზე დაბეჭდეს მთლიანად ან ცოტაოდენი შემოკლებით სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლა სრულიად ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირზე. წამყვანი პოლიტიკური მომოხილველების კომენტარებში აღნიშნულია საბჭოთა კავშირის მტკიცე რწმენა, რომ დაძაბულობის შენელებისა და თანასწორუფლებიანი თანამშრომლობის მძლავრ ნაკადს თათბირისა და მისი შედეგების მეოხებით ახალი ძალა და კიდევ უფრო მეტი გაჭანება შეემატება.

ჩეხოსლოვაკიის გაზეთი **„რუდე პრავო"** წერს: „როცა თათბირის ტრიბუნაზე ავიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევი, თათბირის ყველა მონაწილე დარწმუნებით ელოდა, რომ ივი უპირველესი პოლიტიკური მნიშვნელობის სიტყვას წარმოთქვამდა, რომელიც არა მარტო გაანალიზებს თანამედროვე საერთაშორისო ვითარებას, არამედ განსაზღვრავს კიდეც დაძაბულობის შენელების პროცესის შემდგომ მიმართულებებს. ლ. ი. ბრეჟნევის ამ თვალსაჩინო გამოსვლამ კვლავ ცხადყო, თუ რაოდენ თანამიმდევრულია ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის ლენინური პოლიტიკა, რომელსაც საბჭოთა კავშირი ახორციელებს, რა ჰუმანიზმითაა გამსჭვალული საერთაშორისო ასპარეზზე ყველა მისი მოქმედება".

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლამ ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მონაწილეთა დიდი ყურადღება მიიპყრო, — თქვა ჰელსინკში ჟურნალისტებთან საუბრის დროს ავსტრიის რესპუბლიკის ფედერალურმა კანცლერმა ბ. კრაისკიმ. ეს სიტყვა, ხაზი გაუსვა მან, გამოირჩევა მშვიდობიანი თანამშრომლობის უაღრესად მაღალი სულისკვეთებით.

პირველ გვერდზე გამოქვეყნებულ სტატიაში **„ვაშინგტონ პოსტი"** წერს: „ლ. ი. ბრეჟნევმა, რომელმაც სავსებით დაუპირისპირა მხარი ფოკუმენტს, რომელსაც 35 ქვეყნის ხელმძღვანელები მოაწერენ ხელს, განაცხადა: გამართული ხანგრძლივი მოლაპარაკების შედეგები ისეთია, რომ არ არიან გამარჯვებულნი და დამარცხებულნი, ეს გონების გამარჯვება არისო".

დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა გ. მაკლენანმა განაცხადა: „ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის წარმატების ნამდვილად სარგებელი მოაქვს ყველასათვის, ვისთვისაც ძვირფასია ჩვენი პლანეტა მშვიდობა და უშიშროება. ამ ამას განსაკუთრებით გაუსვა ხაზი ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა ჰელსინკში წარმოთქმულ თავის დამნშვნელოვან სიტყვაში". მაკლენანმა თქვა, რომ საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკის ბრეჟნევისეული სტა განსაზღვრა განსაკუთრებულ კმაყოფილებას იწვევს იმ მომენტში, როდესაც დასავლეთის ზოგიერთი პოლიტიკური მოღვაწე ამაოდ ცდილობს აღორძინონ „ცივი ომის" ატმოსფერო.

„ლ. ი. ბრეჟნევის სპოროგრამა სიტყვა, — წერს დასავლეთ გერმანიის გაზეთი **„შტუტგარტ ცეიტუნგი"**, — განსაზღვრავ ზემოქმედებას ახდენს ჰელსინკ უმაღლესი დონის შეხვედრაზე როგორც გაზეთი **„გენერალ ა ციგერი"** წერს, ლ. ი. ბრეჟნევ გამოსვლა „თათბირის დამამთავ რებელი ეტაპის მეორე დღის მთ ვარი მოვლენა და კულმინაციო პუნქტია". „როცა ლ. ი. ბრეჟნ ლაპარაკობდა, დარბაზში უჩვ ლო სიჩუმე სუფევდა, ხოლ როცა მან სიტყვა დაამთავ ტაშმა იქუხა. ტაშს უკრავდა ყ ლ", — წერს გაზეთი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტ გენერალური მდივნის გამოსვ ში, წერს იტალიის **„უნიტა"**, ა სახა გულითადობისა და ურთ რთვაგების ის ვითარება, რო ლიც სუფევდა ევროპის უშიშრ ებისა და თანამშრომლობის თა ბირის დასკვნით ეტაპზე.

როგორც იაპონიის გაზე **„სანკეი სიმბუნი"** აღნიშნა „განსაკუთრებით დიდი შთაბ დილება მოახდინა სკკპ ცენტ ლური კომიტეტის გენერალუ მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მი ხაზგასმულმა დებულებამ ყვ ქვეყნის — დიდი, სამუალო, ტარა ქვეყნების თანასწორუფ ბიანობის შესახებ".

(საკდესი, 1 აგვისტო)

მიზანდასახული ღონისძიებანი

ჰელსინკი. (საკდესი). იმასთან დაკავშირებით, რომ აქ ფინურ ენაზე გამოიცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლების კრებული, გაზეთი „კანსან უუტისეტი" წერს:

როცა ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლებს კითხულობ, უთუოდ აღნიშნავ იმ ფაქტს, რომ საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური სახელმწიფოების მიზანდასახულ ღონისძიებათა შედეგად საერთაშორისო ურთიერთობაში ხანმოკლე დროის მანძილზე დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური ძვრები მოხდა. სოციალიზმის განმტკიცება საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებაცაა.

კრებული სრულ წარმოდგენას გვაძლევს საბჭოთა ხალხის მიღწევებზე სულ სხვადასხვა დარგში, სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებაში, აგრეთვე სკკპ მომავალი XXV ყრილობის მნიშვნელოვანზე, რომელიც კომუნიზმის მშენებლობისა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცების ახალ პერსპექტივებს დასახავს.

გაზეთი „ტიედონანტაია" თ მხრივ აღნიშნავს, რომ ლ. ი. ბ ენევის გამოსვლებში ღრმად ა გაშუქებული სსრ კავშირი მუნიზმის მშენებლობის პრობ მები, სოციალისტური ქვეყნ თანამშრომლობა, აგრეთვე ევ პის უშიშროებისა და თანამშ მლობის თათბირის მზადება გამოსვლებში მოცემულია პ ხები სოციალიზმისა და კომუ მის მშენებლობის თეორიისა პრაქტიკის სულ სხვადასხვა კ ვაზე.

სკკპ ცენტრალური კომიტ გენერალური მდივნის გამოს ბი, ხაზს უსვამს გაზეთი, ადას რებენ მის პირად წვლილს კ ნიზმის მშენებლობასა და მ მსოფლიოს მშვიდობის უზრუ ლოყოფაში. ისინი ცხადყ დაუცხრომელ აქტივობას, ციატივას, ყოველმხრივ მიდგ საარსებო პრობლემების გადა განხილვისადმი, ესე იგი, ყოვ ვე იმას, რაც ცნობილია მ მსოფლიოსათვის როგორც ბრეჟნევის მოღვაწეობის გა ხვავებელი თვისებები.

უდიდესი ყურადღებით

საბჭოთა კავშირის დელეგაციის მეთაურის სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლა 31 ივლისს ჰელსინკში ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირზე ტრანსლირებული იყო სსრ კავშირის ყველა რადიოსადგურითა და სატელევიზიო ცენტრით, გადაიცა „ინტერვიზიის" სი მით.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ღ შინაარსიანი გამოსვლა უდ სი ყურადღებით მოისმინა ნახა ჩვენი ქვეყნისა და მ სოციალისტური ქვეყნების ბით მილიონმა ადამიანმა.

(საკდეს

გათვალისწინებული კონფერენციის მოწვევ

**

სასარგებლო მწერები

წარმოებაში ინერგება ციტრუსების მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლის ბიოლოგიური მეთოდი



ნარმოებაში ფართოდ ინერგება სასოფლო-სამეურნეო მცენარეების მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლის ბიოლოგიური მეთოდი. მას დიდი მნიშვნელობა აქვს ზიანის მიუყენებლად მდიდარი ფლორის გადარჩენაში. ეს მეთოდი შეიმუშავეს ჩვენს რესპუბლიკაში მცენარეთა კარანტინული მავნებლების წინააღმდეგ ბიოლოგიური ბრძოლის ლაბორატორიის მეცნიერებმა. ისინი მუშაობენ ხელვაჩაურის რაიონის ხოფელ ანტისაში.

ახლა თუთის ფარიანას წინააღმდეგ წარმატებით იყენებენ ქართველ მეცნიერთა მიერ გამოყვანილ მწერს „პროსპალტელა ბერლეზის“, ავსტრალიური ღარისებრი ცრუფარიანას წინააღმდეგ — ხოჭო „რადიოლია კარდინალისს“. ციტრუსებს დიდ ზიანს აყენებს ციტრუსის „ფრთათეთრა“. 1973 წელს ინდოეთიდან ლაბორატორიაში მოიყვანეს რიადამიების ოჯახის წარმომადგენელი ხოჭო „კატანა პარეესეტოზა“.

გამოცდამ დაადასტურა, რომ ეს ხოჭო „ფრთათეთრას“ აშკარა მტერია. ლაბორატორიის მუშაკები დიდი სიფრთხილით შეუდგნენ მეტად სასარგებლო მწერის აკლიმატიზაციას. ამ ხოჭოს პირველი პარტია გაზარდეს „ფრთათეთრათი“ დაზიანებულ პლანტაციაში და მან ციტრუსების ბევრ ხეზე მოხვო მავნებლები.

აღსანიშნავია, რომ სეზონის განმავლობაში თვითეული ხოჭო ოთხ თაობას იძლევა. კარგად შეეგუა აჭარის სუბტროპიკულ პირობებს, ადვილად იტანს ტემპერატურის დაწევას და სხვ. სულ მალე წარმოებაში ფართოდ დაინერგება სასოფლო-სამეურნეო მცენარეების და, კერძოდ, ციტრუსების „ფრთათეთრას“ წინააღმდეგ ბრძოლის ეს მეტად მნიშვნელოვანი ბიოლოგიური მეთოდი. სურათზე მარცხნივ თქვენ ხედავთ „ფრთათეთრას“ მოშხაპა ხოჭოებს; მარჯვნივ — ლაბორატორიის **ნარბიზა ბრიგალაშვილი** ციტრუსის ხეზე უშვებს სასარგებლო მწერებს.

ნ. ანასტასიევის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

1975 — ქალის საერთაშორისო წელი

ბამელთა ბადლოგა

თელავი. (საკ. კორ.). სოფელ აფარეულის ქალთა საბჭო ფართო ონისძიებებს ახორციელებს ქალის ერთაშორისო წელთან დაკავშირებით. ამასწინათ ქალთა საბჭომ ამათი ბაუბაზანა ბამის მშენებლებს; მანათმი ნაფარეულელი ქალების ერილებიც იყო.

ამ დღეებში ნაფარეულის ქალთა ბჭოს სახელზე ბამიდან მოვიღა წერილი, რომელშიც ვკითხულობთ:

„ძვირფასო თანამემამულენო! მიღეთ თქვენ მიერ გამოზავნილი ნანათი და გულთბილი წერილები, ეს ერთხელ კიდევ ადასტურებს იმ ად ყურადღებას, რასაც მთელი საქთა ხალხი და მათ შორის საქართველოს მშრომელები იჩენენ ბის მშენებლებისადმი. ეს ამავე როს დადასტურებაა ბაიკალ-ამუს რკინიგზის მაგისტრალის მშენებობის დიდი მნიშვნელობისა, რომლიც დაიჩარებს ქვეყნის აღმოსავეთი რაიონების ათვისებასა და თა სიმდიდრის გამოყენებას სამბლოს საკეთილდეოდ. უღრმესი ლობა ამანათისა და გულთბილი რილებისათვის. თქვენს გულისხმიებას ჩვენ თავდადებული შრომით ასუხებთ, რათა ღირსეულად შეგდეთ შრომლური კომუნისტური ტრის XXV ყრილობას.

საკავშირო ალკკ XVI ყრილობის ელობის პირველი კომკავშირული ვერული რაზმის საქართველოს წარგზავნილი წევრთა სახელით „კაკუშაძე“.

ტალანტების დათვალიერება

მშრომელთა მხატვრული შემოქმედების პირველი რესპუბლიკური ფესტივალი

□

ტის ბიურომ, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კოლეგიამ, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს კოლეგიამ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის კოლეგიამ მიიღეს ერთობლივი დადგენილება 1975-1977 წლებში ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის პოლიტსამმართველოსთან, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის, კინემატოგრაფიის, გამომცემლობების, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტებთან, საქართველოს მწერალთა კავშირთან, ჟურნალისტთა კავშირთან, თეატრალურ და მუსიკალურ საზოგადოებებთან ერთად მოაწყონ საქართველოს მშრომელთა მხატვრული შემოქმედების პირველი რესპუბლიკური ფესტივალი.

დამტკიცებულია მშრომელთა მხატვრული შემოქმედების რესპუბლიკური ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტი. კომიტეტის თავმჯდომარეა საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე თ. ი. მოსაშვილი. საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ დამტკიცებული არიან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. ვ. ზენარეშვილი, საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი ო. ვ. თაქთაქიშვილი, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. ბ. ბაქრაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი გ. ნ. ჯიბლაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ი. ა. შევარდნაძე.

იქმნება ფესტივალის რაიონული, საქალაქო და საოლქო საორგანიზაციო კომიტეტები, კონკურსების ჟიურები და საგამოფენო კომიტეტები ხელოვნების სხვადასხვა სახეობისა და ჟანრის მიხედვით.

რესპუბლიკური ფესტივალი ეწყობა სამ ტურად.

პირველი ტური ეწყობა 1976 წლის თებერვლამდე საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში, სასწავლებლებში, ჯარის ნაწილებში, კლუბებში, კულტურის სახლებსა და სასახლეებში, რაიონებსა და ქალაქებში.

მეორე ტური — 1976 წლის მარტ-სექტემბერში ცხინვალში, სოხუმში, ბათუმსა და ქუთაისში.

მესამე ტური — 1976 წლის ოქტომბერი — 1977 წლის მარტი — ქალაქ თბილისში.

მესამე ტურში ეწყობა:

ხელოვნების ფესტივალი — 1977 წლის მარტში;

თვითმოქმედი ქორეოგრაფიული ხელოვნების ფესტივალი — 1977 წლის თებერვალში;

თვითმოქმედი თეატრალური ხელოვნების ფესტივალი — 1977 წლის ივნისში;

სხვითი ხელოვნების რესპუბლიკური გამოფენა — 1976 წლის ნოემბერში;

თვითმოქმედი საცირკო ხელოვნების ფესტივალი — 1977 წლის ივნისში;

ფოტომოყვარულთა ნაშუშევრების რესპუბლიკური გამოფენა — 1976 წლის დეკემბერში;

მოყვარულთა კინოფილმების რესპუბლიკური დათვალიერება — 1976 წლის ოქტომბერში.

სამრეწველო საწარმოებისა და ორგანიზაციების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების, პროფესიულ-ტექნიკური განათლების სასწავლებლების პროფესიულ, კომკავშირულ ორგანიზაციებს, ავტონომიური რესპუბლიკების კულტურის სამინისტროებს, საოლქო, საქალაქო და რაიონულ კულტურის განყოფილებებს წინადადება მიეცათ აქტიური მონაწილეობა მიიღონ ფესტივალის მოწყობაში მაღალ იდეურ-მხატვრულ დონეზე, იმისათვის, რომ კიდევ უფრო განვითარდეს ხალხური შემოქმედება, განმტკიცდეს ცხოვრებასთან მისი კავშირი, გაუჯობესდეს საბჭოთა ადამიანების ესთეტიკური და მხატვრული აღზრდა, ჩაბმან კულტურულ-საგანმანათლებელ დაწესებულებათა და მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივთა მუშაობაში ფართო საზოგადოებრიობა და შემოქმედებითი ინტელიგენცია, შეიმუშაონ და განაპირველონ ფესტივალის დროს ხალხური მხატვრული შემოქმედების შემდგომი განვითარების პრაქტიკული ღონისძიებანი.

(საქინფორმი).

მშრომელთა მხატვრული შემოქმედების პირველი რესპუბლიკური ფესტივალი

ექსპედიცია ქსნის ხეობაში

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილებამ ხალხური შემოქმედების ნიმუშების შეკრების მიზნით ქსნის ხეობაში მოაწყო ექსპედიცია, რომელსაც ხელმძღვანელობს დოცენტი ფ. ზანდუკელი.

ორი კვირის განმავლობაში საექსპედიციო ჯგუფის წევრებმა მოიარეს ქსნის ხეობის 45 სოფელი და ჩაიწერეს ხალხური შემოქმედების ნიმუშები — ლექსები, ზღაპრები, ლეგენდები, თქმულებები, გადმოცემები, ზაირები, ანდაზები, შელოცვები, ტოპონიმიკური და სხვა მასალები.

ექსპედიციის მუშაობის ნორმალური პირობები შეექმნეს ადგილობრივმა პარტიულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, მათ ეხმარებოდა ხეობის თითქმის მთელი მოსახლეობა.

ალ. კაკლიაშვილი.

□

ხალხური მარგალიტები

ონი. (საკ. კორ.). აქ ათ დღეს იმყოფებოდნენ საქართველოს სახელმწიფო კონსერვატორიის სამეცნიერო ექსპედიციის წევრები, რომლებმაც შემოიარეს რაიონის ისეთი მაღალმთიანი სოფლები, როგორიც არის ღები, ჭიორა, გლოლა და საკაო.

ექსპედიციამ გამოავლინა და ჩაწერა რაჭაში გავრცელებული ხალხური სიმღერები, კოხტაკტი დაამყარა ინდივიდუალურ მომღერლებთან.

ბევრი უცნობი რაჭული სიმღერა ბალე ხალხის საყოველთაო კუთვნილება გახდებაზ.

ზოგი რამ პრიზიორებზე...

სპარტაკიადის საზეიმო დახურვის წინ

ყოველ დიდ თუ პატარა ტურნირს თავისი ჩემპიონები და პრიზიორები ჰყავს. ასეეა სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე, რომელიც თავისი მასშტაბით მეოთხედ როდი ჩამოუვარდება ოლიმპიურ ასპარეზობას. მაგრამ სპარტაკიადას აქვს თავისებურება, რაც პირველ რიგში ისასხვა ამაში, რომ აქ შეჯიბრება მიმდინარეობს არა მარტო ოქრომ, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებისათვის, არამედ იმ მთავარი პრიზებისათვის, რომლებიც ტრადიციულად დაწესებული აქვს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს. ასეთი პრიზი ხუთია და ისინი საზეიმოდ გადაეცემა იმ კოლექტივებს, რომლებმაც საერთო გუნდურ ჩათვლაში პირველი ხუთი ადგილი დაიკავეს.

ვინ გახდა ამ გარდამავალი პრიზების მფლობელი ახლახან დამთავრებულ სსრ კავშირის ხალხთა მეექვსე სპარტაკიადაზე სპორტის მასობრივ სახეობებში?

ის, ვინც სპარტაკიადის მსვლელობას და სატურნირო ცხრილს თვალს აღევნებდა, ალბათ დაგვეთანხმება, რომ რსფსრ-ის სპორტსმენთა ძლიერი კოლექტივის გამარჯვება სავსებით დამსახურებულია. რსფსრ-ის სპორტსმენები ჯერ კიდევ 1973 წელს ჩაუდგენენ სათავეში სატურნირო ცხრილს, როდესაც დამთავრდა სპარტაკიადის პროგრამაში შემავალი ახალგაზრდული თამაშები. შემდეგ კი ქალთა სხვაობა ლიდერსა და მის უახლოეს მეტოქეებს შორის დღითიდღე იზრდებოდა, და ან ფინიშიც. 13 გუნდური პირველი ადგილი, მრავალი ჩემპიონი, პრიზიორი და რეკორდსმენი, 8.712,5 ქულა — ასეთია სპარტაკიადის წლევანდელი ჩემპიონის ტრიუმფი. ერთი დეტალიც. რსფსრ-ის გუნდი მეორე პრიზიორს — მოსკოვის ნაკრებს — 1.419,5 ქულით უსწრებს, ხოლო მესამე პრიზიორს — უკრაინის გუნდს — 1.689 ქულით. როგორც ეხედავთ, ქულათა სხვაობა მეტად დიდია.

ბევრს ეგონა, რომ უკრაინელი სპორტსმენები მეხუთე სპარტაკიადასთან შედარებით ერთი ტალღისებრით წინ წაიწევდნენ, მაგრამ, მათ უკანასკნელ სალიობებში დათმეს პოზიცია და ბოლო სპარტაკიადებში მათთვის ჯანჯოთვინია ტრადიციული მესამე ადგილით დაკმაყოფილდნენ. მოსკოვის ნაკრები ისევ მეორე იყო. მეიცვალა ძალთა თანაფარდობა ლენინგრადისა და ბელორუსიის ნაკრებთა შორის. ბელორუსიის სპორტსმენთა დიდი ნასტამი მიეუთვა სპარტაკიადაზე ამჯერად შეჩერებულ ეენა. ლენინგრადელები მეოთხე ადგილს დაუბრუნდნენ, ხოლო ბელორუსიის ნაკრებმა ერთი ნაბიჯით უკან დაიხია.

აი დიდი ხუთეული, რომლის თვითეულმა წევრმა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრიზი დაიმსახურა.

ყაზახეთის გუნდისათვის დიდ გამარჯვებად უნდა ჩაითვალოს მეექვსე ადგილი. თუ პირველ, მეორე და მესამე სპარტაკიადებზე ისინი მე-13, მე-11 და მე-12 ადგილებს სჯერდებოდნენ, ახლანდელი მეექვსე ადგილი ამჯერა წინსვლაა და მეტყველებს ამ რესპუბლიკაში სპორტის აღორძინებაზე. რაც შეეხება ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენთა კოლექტივის მიერ უკანასკნელ ორ სპარტაკიადაზე დათმობილ პოზიციებს, რა თქმა უნდა, იგი დამაფიქრებელია და ალბათ დიდი მსჯელობის საგანიც გახდება.

მეხუთე სპარტაკიადასთან შედარებით წინ გადადგეს ნაბიჯი უზბეკეთისა და მოლდავეთის გუნდებმა. რაკი შეეხება სხვა რესპუბლიკებს, მათ უმრავლესობას ტრადიციისთვის არ უფალატნია. დარჩნენ იმავე ადგილებზე, რაც მეხუთე სპარტაკიადაზე ეჭირათ. მაგალითად, ლატვია და ლიტვა შესაბამისად მე-8, მე-10 ადგილებზე, აზერბაიჯანი — მე-13-ზე, ყირგიზეთი — მე-15-ზე. სომხეთისა და ესტონეთის გუნდებმა შესაბამისად 2 და 3 საფეხურით დაიხიეს უკან.

სპარტაკიადის საზეიმო დახურვა ლენინში მოეწყობა ფიზკულტურულის საკავშირო დღეს — 9 ივლისს.

ვ. გაგელია.

თბილისი—მესამე ქალაქი

ახლახან დამთავრებული სპარტაკიადა მრავალმხრივი იყო. საერთო გუნდურ პირველობასთან ერთად ჩათვლები მიმდინარეობდა სასპორტო საზოგადოებებისა და შეწყებების, აგრეთვე ქალაქებისათვის.

ქალაქთა შორის სპორტულ დავაში ქება დაიმსახურეს მინსკელებმა, რომელებმაც 2.947 ქულა შეაგროვეს და პირველი ადგილი დაიკავეს. მეორე ადგილზე „ალმონრდა კიევი — 2.427 ქულა, მესამე ქალაქად აღიარებულ იქნა თბილისი — 1.979 ქულა.

სასპორტო საზოგადოებათა და უწყებათა შორის უძლიერესები იყვნენ შეიარაღებული ძალების სპორტსმენები — 11.721 ქულა. მომდევნო ორი ადგილი უჭირავთ „დინამოსა“ და „ბურევესტნიკს“.

სპარტაკიადის ფინალურ ტურნირებში დამყარებულია 6 მსოფლიო რეკორდი და 13 საკავშირო მიღწევა, განახლებულია სპარტაკიადის 105 რეკორდი.

82-მა სპორტსმენმა სპარტაკიადაზე პირველად შეასრულა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივი.

გამარჯვებულთა სამეული

ტურნირები სპორტის სამხედრო-ტექნიკურ სახეობებში

ორენბურგში რამდენიმე დღეს გრძელდებოდა ტურნირი სპალაჭერო სპორტში. საერთო გუნდურ ჩათვლაში წარმატება მოსკოვის ნაკრებს ხვდა და სპარტაკიადის ჩემპიონობაც მას მიეკუთვნა. ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლების მფლობელები გახდნენ რსფსრ-ისა და უკრაინის გუნდები.

უფრო მწვავე აღმოჩნდა ბრძოლა პირადი პირველობისათვის. ლიდერთა ჯგუფში ერთობლივ 10 სპორტსმენი აღმოჩნდა. სპარტაკიადის მედლებთან ერთად აქ თამაშდებოდა ჩვენი ქვეყნის აბსოლუტური პირველობა. ორივე უმაღლესი ტიტული დაიმსახურა დნეპროპეტროვსკელმა ვ. პანასფუტინმა. მეორე ადგილზე გამოსული მოსკოველი ო. პასეჩნიკი მეტოქეს 50 ქულით ჩამორჩა. ბრინჯაოს მედლის მფლობელიც მოსკოვის გუნდის წარმომადგენელი ი. კუზნეცოვი გახდა.

ᲛᲝᲒᲐᲚᲘ

სროლა. ვენაში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე სასტენდო სროლაში როსტოველმა ლარისა გურეიჩმა პირველობა მოიპოვა. ჩვენი ქალთა გუნდი მეოერე იყო. ჩემპიონობა დაისაკუთრა გფრ-ის ნაკრებმა. საბჭოთა ვაჟთა ნაკრებმა, რომელშიც გამოდიოდნენ ქართველი მსროლელები თამაზ იმნაიშვილი და ტარიელ ჟღენტი, შვეიცის გუნდის შემდეგ მეორე შედეგი აჩვენა — 388 ქულა 400 შესაძლებლიდან.

ᲬᲧᲐᲚᲑᲬᲠᲝᲜᲘ. კალის მსოფლიოს ჩემპიონატზე გამარჯვების შემდეგ ოლიმპიური ჩემპიონი — საბჭოთა ნაკრები მონაწილეობს კანადის წინასაოლიმპიადო საერთაშორისო ტურნირში. ტურნირში გამოდიან აგრეთვე კუბის, მექსიკისა და კანადის გუნდები. პირველ მატჩში ჩვენმა წყალბურთელებმა გამილტონში (ონტარიოს პროვინცია) დაამარცხეს კუბის ნაკრები — 8:6. კანადელებმა სძლიეს მექსიკელებს — 6:4.

ᲢᲐᲜᲓᲐᲠᲐᲮᲘᲜᲘ. მონრეალში წინასაოლიმპიადო შეჯიბრებში თავი იხახელეს ახალგაზრდა ოსტატებმა. პირველობა მოიპოვა ევროპის ჩემპიონმა, რუმინელმა მოსწავლემ ნადია კომანეჩიმ — 76,85 ქულა. მეორე ადგილზე გამოვიდა ჩიბკენტელი ნელი კიმი — 76,05 ქულა. შეჯიბრებაში მონაწილეობდა 15 ქვეყნის 46 სპორტსმენი.

ᲜᲘᲪᲪᲐ. ბელგრადში სტარტი აიღო მსოფლიოს ჩემპიონატმა ნიჩბოსნობაში (ბაიდარები და კანოე), რომელშიც 30 ქვეყნის 400 სპორტსმენი გამოდის. კარგად დაიწყეს შეჯიბრება საბჭოთა სპორტსმენებმა, რომელებიც ნახევარფინალში გავიდნენ.

ᲛᲝᲯᲚᲘᲓ

სოფლელ ბავშვთა ბიბლიოთეკის სიმპოზიუმი

დასავლეთის პრესაში ხანდახან ობიექტდება ცნობები, თითქოს რვეინი პლანეტის სხვადასხვა ადგილებში ღამით გამოჩნდება ხოლმე მფრინავი თეფშები.

ეს პრობლემა ოდეს ახლახან რიო-დე-ჟანეიროში დამთავრებული სიმპოზიუმის წინაშე. მოსალოდნელი იყო, რომ აქ ჩამოსული 200 დელეგატი, რომლებიც თავიანთ თავს უფოლოგებს უწოდებდნენ, სავაზეთო ჟორნალისაგან ქვის ქვაზე არ დატოვებდა. მალე გამოირკვა, რომ მათი შეკრების მიზანი არ იყო ჟორნალის გაქარწყლება. პირიქით, ისინი სწორედ ამიტომ შეიკრიბნენ, რომ დაემტკიცებინათ დაუჯერებელი.

ძნელი სათქმელია, რამდენად გადაჯაჭარეს ყოველგვარ საზღვარს. თუმცა ინანტაზიაში, უფრო, სწორად მისტიკაში მათ ბადალი არა ჰყავთ. ასე მაგალითად, ჟურნალისტების წინაშე გამოსულმა პროფესორმა ალდირ მადეირამ საესებით სერიოზულად განაცხადა, რომ სიმპოზიუმის მუშაობაში მონაწილეობდა მფრინავი თეფშების ფლოტილიის მეთაური, რომელიც სპეციალურად ჩამოფრინდა რიოში სხვა პლანეტიდან. როცა ჟურნალისტები გაოცდნენ, რადგან მათ ასეთი უცნაური სტუმარი სიმპოზიუმზე არ შეუნიშნავთ, პროფესორმა ავტორიტეტულად განაცხადა, მისი დანახვა შეეძლო მხოლოდ იმთ, ვინც ბუნებისაგან ნათელხილვის უნარით არის დაჯილდოებული. ზოგიერთი უფოლოგიც კი მოკლებული ია იმ მაღალ პატივს. პროფესორის თქმით. „ფლოტილიის მეთაურს“ დაკავებული ჰქონდა მისი რანგისათვის შესაფერისი ადგილი — პრეზიდიუმის თავზე, მანათობელი მწვერვალის ფონზე.

როგორც იტყვიან, კომენტარები ზედმეტია.

(„ნაუკა ი ჟიზნ“).

ᲛᲔᲓᲚᲝᲚᲘ ᲘᲛᲡᲮᲕᲔᲠᲞᲚᲐ

ჟ. ედინბურგის (ინგლისი) სასამართლოში განიხილეს 22 წლის ჯონ ტეილორის საქმე. ქალაქის შერიფი მას ბრალად სდებს, რომ მისმა მოქმედებამ მძღოლი იმსხვერპლა. ჯ. ტეილორი, ამტკიცებს ბრალდება, ჯერ იყო და „ყოველად გაუმართლებლად“ აღმოჩნდა 60 წლის პენსიონერი მასწავლებლის ენდრიუ დევისის ავტომანქანის წინ, ხოლო შემდეგ მუშტები დაუშინა მანქანას, მორთო ყვირილი და უშვერი სიტყვებით გალანძღა ე. დევისი, მერე კი შეეცადა ერთ-ერთი საბურავიდან ჰაერი გამოეშვა. ყოველივე ამის შედეგად, ნათქვამია საბრალდებო დასკვნაში, ე. დევისს გულის შეტევა მოუვიდა და იგი თავისსავე მანქანაში გარდაიცვალა. „ხოვმ მერ“.

ᲙᲝᲛᲘᲡᲐᲠ ᲛᲔᲒᲠᲔᲡ ᲠᲔᲪᲔᲞᲢᲔᲑᲘᲗ

პარიზის გაზეთ „მონდის“ თანამშრომელმა რობერტ კურტინმა გულდაგული გადაიკითხა ყორე სიმენონის ნაწარმოებთა ოთხმოცზე მეტი ტომი და აღმოაჩინა, რომ ამ ნაწარმოებებში სიმენონს აღწერილი აქვს 111 თავი საპმელი, რომლებსაც ცნობილი მაძებარი მიირომევდა.

ჟურნალისტმა შეკრიბა ისინი, გაუკეთა სათანადო კომენტარები და გამოსცა წიგნი ასეთი სახელწოდებით „მადამ მეგრის რეცეპტები“, წიგნს დიდი წარმატება ხვდა. ამჟამად კურტინი ბალზაკის „დამუშავებას“ შეუდგა და იმედი აქვს, რომ ფრანგი დიასახლისებისათვის კიდევ ერთ წიგნს გამოსცემს.

ᲢᲑᲐ ᲕᲔᲜᲘᲡ ᲥᲕᲔᲨ

საბშრლი სამუშაოების დროს, რაც ამ უკანასკნელ წლებში ჩატარდა ავსტრიის დედაქალაქის ტერიტორიაზე, აღმოჩნდა, რომ ქალაქის ქვეშ დაახლოებით 3.000 მეტრის სიღრმეზე მდებარეობს ბუნებრივი ცხელი წყლის უზარმაზარი რეზერვუარი. ტბის წყლის ტემპერატურა 100 გრადუსს აღწევს.

ამჟამად ამუშავებენ დონისძიებებს ამ რეზერვუარის გამოსაყენებლად.

აღმოჩნდა, რომ ავსტრიის ტერიტორიაზე ვეხვდება ისეთი ტბები, სადაც მიწის ქვეშ დიდ სიღრმეზე დამალულია ცხელი წყლის მნიშვნელოვანი რეზერვუარები. ზოგიერთ ადგილზე წყლის ტემპერატურა 200 გრადუსსაც კი აღწევს. („ტრუდ“).

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

საესტრადო ნაწარმოებების კონკურსი

საქართველოს სახელმწიფო მინიატიურების თეატრის რეპერტუარის გაუმჯობესებისა და გამდიდრების მიზნით რესპუბლიკის კულტურის სამინისტრომ გამოაცხადა საესტრადო ნაწარმოებების შექმნის კონკურსი.

კონკურსში მონაწილეობა მეუძლიათ როგორც პროფესიონალ, ისე არაპროფესიონალ ავტორებს.

კონკურსის პირობები ითვალისწინებს საესტრადო დრამატურგიის ყველა ჟანრს. კონკურსის თემატიკა შეზღუდული არ არის, მაგრამ, უპირატესობა ენიჭებათ თანამედროვეობის მსახველ ნაწარმოებებს.

გამარჯვებულთათვის დაწესებულია პრემიები.

მრავალმოქმედებიანი პიესებისათვის: ერთი პირველი პრემია — 2.000 მანეთი, ერთი მეორე პრემია — 1.500 მანეთი, ერთი მესამე პრემია — 1.000-1.000 მანეთი.

ერთმოქმედებიანი პიესებისა და ვოდევილებისათვის: ერთი პირველი პრემია 1.000 მანეთი, ერთი მეორე პრემია — 700 მანეთი და ორი მესამე პრემია 500-500 მანეთი.

საესტრადო მინიატიურებისათვის: ერთი პირველი პრემია — 1.500 მანეთი, ერთი მეორე პრემია—1.000 მანეთი, ორი მესამე პრემია — 500-500 მანეთი.

მინიატიურებისა და ინტერმედიებისათვის: ერთი პირველი პრემია — 200 მანეთი, ორი მეორე პრემია — 150-150 მანეთი და სამი მესამე პრემია — 100-100 მანეთი.

რეპრიზების და მოკლე დიალოგებისათვის: ერთი პირველი პრემია — 80 მანეთი, ორი მეორე პრემია — 60-60 მანეთი და სამი მესამე პრემია — 40-40 მანეთი.

სკეტჩებისა და სცენებისათვის: ერთი პირველი პრემია — 150 მანეთი, ორი მეორე პრემია — 100-100 მანეთი და სამი მესამე პრემია — 75-75 მანეთი.

ფელეტონებისათვის: ერთი პირველი პრემია — 150 მანეთი, ორი მეორე პრემია — 100-100 მანეთი და სამი მესამე პრემია — 50-50 მანეთი.

ნაწარმოებები უნდა წარმოადგინონ 1976 წლის პირველ თებერვლამდე საბუჭდ მანქანაზე ორ ცალად. ცალკე კონვერტზე აღნიშნული უნდა იყოს ავტორის გვარი, სახელი, მამის სახელი და მისამართი.

საკონკურსო მასალები უნდა გამოგზავნოთ მისამართით: თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 19. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო, „კონკურსისათვის“.

კონკურსის შედეგები გამოქვეყნდება 1976 წლის მარტში.

(საქინფორმი).

ᲐᲛᲘᲜᲓᲘ

— ᲬᲚᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲘᲐᲙᲣᲗᲝᲠᲔᲑᲘᲗ ᲪᲮᲔᲚᲘᲐ, ᲠᲐᲡ ᲒᲕᲔᲢᲧᲕᲘᲗ ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ?

— დიან, ზაფხული მართლაც ცხელი გვიდგას, მაგრამ არც ისეთი განსაკუთრებული. ჩვენში არაერთხელ ყოფილა ასეთი ცხელი ზაფხული. მაგალითად, 1966 წელს 40 გრადუსი სიცხეც აღინიშნა.

წლევანდელი იმიტომ გვეჩვენება განსაკუთრებული, რომ ხანგრძლივი დროის განმავლობაშია ცხელი დღეები. უკვე ივნისში ტემპერატურა ნორმასთან შედარებით ერთნახევარი-სამი გრადუსით მეტი იყო. არც ივლისმა დამშვა თავისი. მთელი თვის განმავლობაში სიცხეები და გვალვა იყო, განსაკუთრებით კი კახეთში.

ეს პროცესები იმით შეიძლება ახსნას, რომ ჯერჯერობით ჩვენს ტერიტორიაზე გაბატონებული მდგომარეობა უკავია სამხრეთი და სამხრეთ-დასავლეთ ქვეყნებიდან გადმოსული ცხელი ჰაერის მასებს, ხოლო ცივი ჰაერის მასების შემოჭრას ადგილი არ ჰქონია, თუ ეს პროცესი ხდებოდა, ეს იყო ძალიან ხანმოკლე დროის განმავლობაში და ამინდის გარდატეხაზე გაელენას ვერ ახდენდა.

— როგორი იქნება აგვისტო?

— აგვისტო ზაფხულის დასასრულია. წელიწადიან ამ დროს თუმცა ისევ ცხელა, მაგრამ ბერნობა ერთგვარი გარდატეხა. შეიძლება ითქვას, რომ წლევანდელი აგვისტო არც ისეთი ცხელი იქნება.

— როგორი ამინდია მოსალოდნელი შავი ზღვის სანაპიროზე, აგრეთვე კოლხეთის დაბლობსა და მთიებში?

— შავი ზღვის სანაპიროზე პირველი და მესამე დეკადის შუა ნაწილში მოველით ხანმოკლე წვიმებს. დანარჩენ დროებში უმეტესად უნალექო ამინდი იდგება, შედარებით ხშირი წვიმებია მოსალოდნელი მეორე დეკადაში.

ყველაზე დიდ სიცხეებს — 27-32 გრადუსს ვვარაუდობთ პირველი დეკადის უმეტეს დროსა ამინდია მოსალოდნელი, როგორც სანაპირო რაიონებში, იქვემებს მეორე დეკადის პირველ ნახევარსა და მესამე დეკადის შუა და ბოლო რიცხვებში. სიცხეები 30-35 გრადუსი მოსალოდნელია პირველი დეკადის უმეტესი დროის განმავლობაში.

მთიან რაიონებშიც საკმაოდ ეთბილება. ყველაზე მაღალი ტემპერატურა — 26-31 გრადუსი მოსალოდნელია პირველი დეკადის შუა ნაწილში.

— როგორი ამინდია მოსალოდნელი ქართლსა და კახეთში, აგრეთვე მთებში?

— ქართლის ვაკეში პირველი დეკადის ბოლოს და მეორე დეკადის მეორე ნახევარში, აგრეთვე მესამე დეკადის უმეტესი დროის განმავლობაში იქნება უნალექო ამინდი, სიცხეები — 31-36 გრადუსი მოსალოდნელია პირველ და მეორე დეკადაში. ყველაზე დაბალი ტემპერატურა — 20-25 გრადუსი იქნება პირველი დეკადის შუა ნაწილში.

კახეთში ხანმოკლე წვიმები და ელჭექი მოსალოდნელია პირველი დეკადის უმეტესი დროის განმავლობაში და მეორე და მესამე დეკადის შუა ნაწილში. დანარჩენ დროს უმეტესად უნალექო ამინდი იქნება. ტემპერატურა 29-34 გრადუსს მიაღწევს პირველი დეკადის პირველ ნახევარსა და მეორე დეკადაში.

მთიან რაიონებში თითქმის ისეთივე ამინდი იქნება, როგორიც დაბლობ რაიონებშია მოსალოდნელი. 26-31 გრადუსს ვვარაუდობთ პირველი დეკადის პირველ ნახევარში, ხოლო ამავე დეკადის მეორე ნახევარში და 22-27 გრადუსამდე დაიწევს. დანარჩენ დროს კი მოსალოდნელია 24-29 გრადუსი.

როგორი იქნება აგვისტო

„კომუნისტის“ კორესპონდენტს უპასუხებს თბილისის ამინდის ბიუროს უფროსი ვ. კოკლანოვი.

ᲠᲐᲓᲘᲝ

3 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ

პირველი პროგრამით

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 09.15 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.30 — რადიოგაზეთ „საქართველოს პიონერის“ საკავშირო გამოშვება, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.45 — „მუსიკალური რადიოაფიშა“, 13.00 — მუსიკის საათი ახალგაზრდობისათვის. კონცერტი-საუბარი „ო. თაქთაქიშვილის მეორე საფორტეპიანო კონცერტი და კანტატა „ბურული სიმღერები“, 14.00 — რადიოჟურნალი „ფიზკულტურა და სპორტი“. 14.30 — რ. ბაბიჩვაძე. ფრაგმენტები ბალეტ „ჰამლეტიდან“, 14.45 — დ. გურამიშვილი. „დავითიანი“ მხატვრული კითხვა, 15.00 — „მეგობრობის კონცერტი“. ტრანსლაცია ერევნიდან. 15.30 — დიდები და პატარები — საუბარი „პირობვნების ჩამოყალიბება“, 15